# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 18 აგვისტო, 2010 წელი.

№153 (6519)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „ბუჩქების თაობა“ და სააკაშვილის ყივჩაღები



შევეგუოთ ყველაფერ ცუდს თუ მაინცდამაინც ვიგინოთ კიდეც, ოღონდ... ჩუმად, დელიკატურად!

3

## ჩვენ გავაკეთეთ რამე საიმისოდ, რომ საშიშროება თავიდან აგვეცილებინა?

5

## დასხა ევროპელად

იტყვის კი ირანი უარს თავის ბირთვულ პროგრამაზე? უბიძგებს კი ევროკავშირის გადაწყვეტილებანი ირანის მთავრობას მოლაპარაკების მაგიდისკენ?..

8

## ნეიტრალიტეტს რესურსი უნდა, რომელიც სააკაშვილს აღარა აქვს

3

## ახალგაზრდები კი ქვეყნიდან სულ მიდიან და მიდიან...

2

## ამას ჰქვია შენება, ხელისუფალნო?!



5

## აღმოჩენილია მზეზე ბევრად მძიმე და ათმილიონჯერ უფრო კაშკაშა ვარსკვლავი

8

ნომრის კარიკატურა




## ოცდამეერთე საუკუნის ქართული პარადოქსები

### ხელისუფლების ფეოდალური აზროვნება

2

მართლა ავად ვართ, რომ ვითმენთ იმას, რასაც ვითმენთ, რომ ვითმენთ სააკაშვილს და ვაქებთ მის მხარდამჭერ უცხოელ „მეგობრებს!“



## მიხაი და მიხეილი რუსეთის წინააღმდეგ

8

აჭარა — პოტიომკინის სოფელი

# ამას ჰქვია შენება, ხელისუფალნო?!



მართალია, ჩვენი გაზეთის 11 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, მწერალ შოთა ზოიძის წერილს „ბათუმის უნივერსიტეტი საფრთხეშია!“ — ჰქვია, მაგრამ იგი, როგორც იტყვიან, დაყურსულია დღევანდელ აჭარაში არსებული მრავალი საჭირბოროტო საკითხით.

ვინც ბატონი შოთას მამულიშვილობას და მწერლურ პოზიციას იცნობს, აქ გასაკვირიც არაფერია — თავისი მშობელი კუთხის გულშემატკივარი კაცი საგანგაშო ზარებს არისხებს.

ამ წერილის გამო ქვეყნებიდან სულ რამდენიმე დღე გავიდა და რედაქციაში უკვე მრავალი გამოხმაურებაა. ერთ-ერთი პირველი შეგვეხმიანა აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე. ქვემოთ გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

— მართლაც განსაკუთრებული ფაქტები მოჰყავს ბატონ შოთას, არადა სახელისუფლებო ტელეარხებზე ისე ჩანს, რომ თითქოს შესანატრია ბათუმის და, საერთოდ, აჭარის ყოფა-ცხოვრება. ა, ბატონო, თქვენს გაზეთში დაბეჭდილია საპირისპირო ფაქტები... იხურება ბიბლიოთეკებიო, — აღნიშნავს შოთა ზოიძე, — დახურეს კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი, უამრავი მეჩეთი და 51 მედრესე აშენდაო. ბოლო ხანებში, მათ შორის, 9 — მედრესე-ინტერნატიაო... და რამდენი ასეთი საგანგაშო ფაქტია წერილში, მაგრამ ყველაზე უფრო შემაშფოთა ბათუმის უნივერსიტეტის გარშემო ატეხილმა ავმა ფაციფუცმა. უნივერსიტეტის ფაკულტეტები, როგორც წერილში ვკითხულობთ, ხელისუფლებამ აქეთ-იქით უნდა მიმოფანტოს, უნივერსიტეტის შენობაში განათავსებენ შავი ზღვის უნივერსიტეტის ნაწილს, უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი კი სასტუმროდ გადაკეთდებაო... ამაზე მეტი ცინიზმი შეიძლება? არადა, როგორც ქვეყნის ხელისუფლება აცხადებდა, ბათუმი საუნივერსიტეტო ქალაქად უნდა გადავაქციოთო... ფერიის მთაზე მომხდარი ინციდენტი არ იკმარეს, ახლა წმინდა ბარბარეს ეკლესიას ანგრევენ, რომ ახალი ბულვარი კიდევ უფრო გააფართოონო, ბავშვებს ძალით ერეკებიან მედრესებში და ყურებს უჭედავენ მათთვის უცხო რელიგიური დოგმებითო... და კიდევ უამრავ ფაქტს გვაწვდის ავტორი, რომელთა დაჯერება ძნელზე ძნელია, მაგრამ მე ვიცი, რომ ბატონი შოთა არ არის ის კაცი, ვინც ჭორებზე აგებს თავის სათქმელს.

აბა, რა გითხრათ, თითქოს ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის ირგვლივ დატრიალებული არასასურველი ამბები არ კმაროდა და ამ წერილმა, მართლა ძალიან ცუდად იმოქმედა.

საჭიროა განგაშის ზარები, ბატონებო, მეგობრებო, რომ ხელისუფლება (ცენტრალური თუ აჭარისაძ, ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგოს!

საღლაა საქართველო?

**ორიოდე დღის წინათ, საქმეზე მიმავალი, დიდი ხნის უნახავ ინჟინერ-მეტალურგ როლანდ თაბაგარს გადავეყარე, რომელიც თიბისი ბანკის გაღებას ელოდებოდა.**

**— რაო, აქ ხომ არ დაიწყე მუშაობა? — გავეხუმრე.**

**— ბიჭებმა ფული გამომიგზავნეს და...**

გულიანად რომ მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი, შევახსენე, ის როგორ იყო ნიკოპოლის ბაზარში შენ და ცხონებულმა ილო კოტორაშვილმა რომ იჩხუბეთ და იქაურობა მილეწ-მოლეწეთ-მეთქი.

ჩხუბი ჩვენ კი არა, იმათ დაიწყესო.

ასეც იყო. რუსთაველ მეტალურგთა მოზრდილი ჯგუფი უკრაინაში პრაქტიკაზე გაგვაგზავნეს. ნიკოპოლის მილების ქარხანაში ამდიდავის პროფესიას უნდა დავუფლებოდით. ეს ამიერკავკასიაში სრულიად ახალი პროფილის პროდუქცია იქნებოდა. ჰოდა, იქ ჩასული ბიჭები იქაურ ქალებს დაერივნენ. უფრო სწორად, ისინი შემოესივნენ ჩვენს საერთო საცხოვრებლებს. აღგილობრივი მამაკაცები, რა თქმა უნდა, ამან გააღიზიანა. ერთხელაც, ბაზარში მოიხელთეს ეს ორი გოლიათი ვაჟკაცი, აუხირდნენ და მერე იქ ამბავი რომ დატრიალდა, მტრისას. მილიციიდან სპეციალური ბრიგადა გამოიძახეს და ჩვენებურები, როგორც იყო, გაკოჭეს.

ეს ამბავი რომ გავიგეთ, დავტრიალდით. მე პროკურატურაში გავიქეცი. ქალაქის მთავარი პროკურორი ქალი იყო, მაგრამ ვაჟკაცური შემართების, ახლოს ვიცნობდი და ვთხოვე დახმარება. ეს პროკურორი ქალი თავისი ფეხით მივიდა მილიციაში, ერთი მაჩვენეთ ის ორი, ამდენი კაცი რომ გალახა, როგორები არიანო. რას ერჩით, ვაჟკაცები ყოფილანო, თავისიანებს აგდებულად გადახედა და უბრძანა, გაუშვითო.

ეს ამბავი რომ გავიხსენეთ, გულიანად ვიცინეთ, იქაურობას კომბაინივით ხომ გადავუარეთო. მერე ვაჟებზე ვკითხე. რას შვრებიან, არ ჩამოდიან-მეთქი. არადა, სამი ვაჟი ჰყავს, სამივე მამის ალიკვალი, ყველანი დაოჯახებულნი. ერთი ჰოლანდიაშია, მეორე — ამერიკაში, მესამე, თუ არ ვცდები, ესპანეთში.

**— აბა, აქ რომ ჩამოვიდნენ, რა უნდა გააკეთონ, ჩვენი ქალაქი ხომ მკვდარია?**

მხრები ავიჩეჩე, ვერაფერი ვუთხარი.

**— შვილიშვილებმა ქართული თუ იციან?**

— ზოგმა კი, ზოგმა — არა.

ნირწამხდარი დავშორდი. არადა, გამორჩეული ოჯახის კაცი, კერძო ორსართულიანი სახლი, ბიჭები ერთმანეთზე უკეთესები, წარჩინებული სტუდენტები. ეგებ ეთებიო რომ გადაიკარგებიან, მერე საქართველო გინდ ყოფილა და გინდ — არა. ამ ნაძირალა და კაცობადაკარგულების, გეების პარადის მოტრფიალეების ხელში.

# ახალგაზრდები კი ქვეყნიდან სულ მიდიან და მიდიან...



თუმცა რაღა შორს მივდივარ, აგერ ჩემი დეიდაშვილის შვილები, ლამის ჩემს ხელში გაზრდილები, თბილისში დაბადებულ-გაზრდილნი, უფროსმა, ლევან ქართველიშვილმა პოლიტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა, მერე ბიზნესმენობას მოჰკიდა ხელი, საამისოდ კარგი ალღო გამოიჩინა, სად არ იტრიალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჰოდა, ამ 3 წლის წინათ გერმანიაში წავიდა. იქ კი გამოუვიდა ბიზნესი, ერთ გერმანელ ქალთან შვილი შეეძინა, მაგრამ იქ დარჩენა არ უნდოდა, ამ გაზაფხულზე ჩამოვიდა კიდევაც. აქ საცოლეც ჰყავს, საქმის წამოწყება სცადა, რაც ფული ჰქონდა, შემოეხარჯა, რომ არაფერი გამოუვიდა, ისევ დაბრუნდა გერმანიაში და იმ ქალს ხელი მოუწერა. მის კვალს გაჰყვა მისი და, არადა ულამაზესი და უნიჭიერესი გოგო, წარმატებული ხელოვანი, ვიღაც იტალიურ-ესპანური წარმოშობის კაცს გაჰყვა. იქ კი ქართველებისგან ანსამბლები შექმნა და გაოცებულები არიან ადგილობრივები, ნეტავ როგორ გამოგიშვესო. მე და ჩემს დეიდაშვილსაც ერთი თავსამტვრევი გვაქვს — სიძეს და რძალს რა ენაზეველაპარაკოთ.

ჩემი შვილიც ხომ იტალიაშია, თუმცა მისი თაობისანი კი დაბრუნდებიან სამშობლოში, მაგრამ ეს ახალგაზრდა გოგო-ბიჭები ხომ სამუდამოდ დაკარგავენ სამშობლოს! რომელი ერთი ჩამოვთვალო, სამეზობლოდან, ახლო ნაცნობებიდან ასობით ადამიანია გადაკარგული უცხოეთში. 1989 წლის იანვარში ჩატარებული აღწერის მიხედვით, საქართველოში 5 მლნ. 443 ათასი მაცხოვრებელი ითვლებოდა. აქედან ქართველი 3 მლნ. 487 ათასი კაცი იყო. მას შემდეგ ჩვენს ქვეყანას ათასი უბედურება დაატყდა თავს, დავკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბლო, კიდევ 130 სოფელი, ერთი მილიონი ქართველი ხომ რუსეთშია, დანარჩენი ერთი მილიონი ემიგრანტი დედამიწის ყველა ქვეყანასაა მოდებული. უცხოეთში გადახვეწილთა რიგები არათუ კლებულობს, დღითი დღე იზრდება. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

**გივი ჯახუა**

**P.S. გუშინ რუსთავში მეგობრობის გამზირზე საოჯახო საქონლის მაღაზიაში შევიარე. აქ ადრეც ხშირად დავდიოდი. ყველა საჭირო ნივთის შეძენა შეგეძლო. შევიხედე და გაოცებული დავრჩი, თაროები ერთიანად დაეცარიელებინათ. ხომ არ დაგაყაჩაღეს-მეთქი, ვკითხე იქ მოწრიალე თანამშრომლებს — კი, ბატონო, დაგვაყაჩაღეს სააკაშვილის ბიჭებმაო. არადა, ის მაღაზია რამდენიმე ოჯახს ინახავდა.**

**გ. ჯ.**

პოზიცია

# XXI საუკუნის ქართული პარადოქსები,

## ანუ ხელისუფლების ფეოდალური აზროვნება

**მართლა ავად ვართ, რომ ვითმენთ იმას, რასაც ვითმენთ, რომ ვითმენთ სააკაშვილს და ვაქებთ მის მხარდამჭერ უცხოელ „მეგობრებს!“**

**სხვა დასკვნას ვერ გააკეთებ, როცა ხედავ, ულუკმაპუროდ ქუჩაში დატოვებულ ხალხს, ხელისუფლებისაგან აბუჩად აგდებულ ხიზნებს და ყოველივე ამის პარალელურად პრეზიდენტს, რომელიც კაფე-რესტორნებს, ბენზინგასამართ სადგურებს, ბაღებს, სკვერებს ხსნის, ტელეეკრანიდან არ ჩამოდის და მშიერ ხალხს ტყუილებით კვებავს... როცა ხედავ, როგორ იჭერენ სხვაგვარად მოაზროვნეთ, როცა იჭერენ იმ ბიზნესმენებს, ვინც ხელისუფლებას დაფინანსებას უწყვეტს... როცა ხედავ რელიგიური მრწამსისათვის გასამართლებულ გულმართალ ბიჭებს... როცა ხედავ საკუთარი ხალხის გენოციდს და ამ გენოციდის შემოქმედი ხელისუფლების ზღვარგადასულ მდიდრულ ცხოვრებას... როცა ხედავ, რომ აბუჩად არის აგდებული აფხაზეთისთვის შვილმკვდარი 70 წლის კაცი, რომელიც ქუჩაში გამოაგდეს, უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ დატოვეს და იძულებული გახდა გმირთა მოედანზე, იმ მემორიალთან, სადაც მისი შვილის სახელია ამოტვიფრული — შიმშილობა გამოაცხადოს.**

ყველაფერი ეს სადიზმია, რადგან ყველაფერ ამას ხელისუფლება შეგნებულად და სიამოვნებით აკეთებს.

**დაფიქრებისათვის რამდენიმე შტრიხი, რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების გამო, საქართველოს ცივილიზებულ სახელმწიფოთაგან გამოარჩევენ...**

**ცივილიზებულ მსოფლიოში** ბიზნესი და ბიზნესმენი აფინანსებენ დემოკრატიას და არა ხელისუფლებას, რადგან იციან, რომ ბიზნესი მხოლოდ დემოკრატიის პირობებში ვითარდება და ბიზნესმენს სახელისუფლებო ზეწოლისაგან დემოკრატიული გარემო იცავს.

**საქართველოში** ბიზნესი ხელისუფლებას შეეწირა, აფინანსებს დიქტატურას და ძალადობის ხელისუფლებას და, როგორც ჩანს, მისივე მსხვერპლი ხდება. ამის გამოა, რომ ქვეყანა ვალებით ცხოვრობს... წინ ფინანსური კრახია.

**ცივილიზებულ მსოფლიოში** პატრიოტობად ითვლება და პატრიოტები არიან ისინი, ვინც ხალხს იცავს ხელისუფლებისგან...

**საქართველოში** ესეც შებრუნებულია. პატრიოტობაა და პატრიოტია ის, ვინც ხელისუფლებას ელაქუცება, ემლიქვნელება, ვინც ხელისუფლებას ხალხისგან იცავს.

**ცივილიზებულ სამყაროში** პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო, ჯარი ქვეყანას ემსახურება და არა ხელისუფალს.

**ცივილიზებულ** სამყაროში ქუჩა — ეს არის ქვეყნის დემოკრატიულობის მაჩვენებელი, **საქართველოში კი,** ხელისუფლების ძალადობის დემონსტრირების ადგილია... პოლიციამ, ნიღბიანებმა ადამიანები ლამის დაგლიჯონ ხელისუფლების საამებლად და ხელისუფლების დასაცავად... ხელისუფლება ცდილობს, პოლიციაში, პროკურატურაში, სასამართლოში, ჯარში დაამკვიდროს სადიზმი ხალხისადმი დამოკიდებულებაში, ლოიალობა და მონური მსახურება — ხელისუფლების მიმართ.

**ცივილიზებულ სამყაროში** არჩეული პრეზიდენტი ერთიანობის სიმბოლოა, განსაკუთრებით პატივისცემით ეკიდება როგორც პოლიტიკური ოპოზიციას, ასევე იმ ამომრჩეველს, ვინც მის წინააღმდეგ გამოდიოდა, ვინც ხმა არ მისცა (ამის ხმამაღლა აღიარების არ ეშინიათ დემოკრატიულ სახელმწიფოშიძ, ტოვებს თავის პოლიტიკურ პარტიას და ამითაც აერთიანებს ქვეყანას, უფრთხილდება პოლიტიკურ რეპუტაციას, ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს, ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები გაცილებით თავშეკავებულები ხდებიან...

**საქართველოში** არჩევნების მეორე დღესვე იწყება პოლიტიკური შევიწროება, დაჭერები, პოლიტიკურად არასანდოების თანამდებობებიდან გაშვება. პრეზიდენტი, მისი ოჯახი — მეუღლე, დედა, მამა, მამინაცვალი, ბებია, ბაბუა, ნათესაობა საერთოდ, მეგობრები აწესებენ კონტროლს პოლიტიკურ პროცესებზე, ბიზნესზე, ფულის ნაკადებზე, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებზე, როგორც საკუთრებას, ისე უყურებენ ქვეყნის ბიუჯეტს, უცხოეთიდან შემოსულ ჰუმანიტარულ დახმარებას (არიგებენ, როგორც საკუთარს... გადასცემენ პრეზიდენტის ოჯახის ტელევიზიებითძ, კიდევ უფრო მეტიც, ახდენენ უცხოეთთან თანამშრომლობის მონოპოლიას (ამ საქმეში ოჯახის წევრებისა და მეგობრების გარდა სხვისი მონაწილეობა გამორიცხულიაძ, საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს ელჩებიც კი უბრალო სტატისტებად და ბიზნესმენეჯერებად აქციეს.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## გაიზარდა ფულადი გზავნილების მოცულობა

**2010 წლის ივნისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 74.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2.4 მლნ აშშ დოლარით, ანუ 3.3 პროცენტით მეტია 2009 წლის ივნისის ანალოგიურ მაჩვენებელზე.**

**ამ პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა რუსეთიდან (4.6 მლნ აშშ დოლარითძ, თურქეთიდან (0.5 მლნ აშშ დოლარითძ, გერმანიდან (0.4 მლნ აშშ დოლარითძ, ისრაელიდან (0,3 მლნ აშშ დოლარითძ, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან.**

**უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 91.4 პროცენტი იმ 9 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ივნისში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 9 ქვეყანაზე, გასული წლის ივნისში მთელი ფულადი გზავნილების 89.8 პროცენტი მოდიოდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ვაი, ჩვენს პატრონს

# „ბუჩქების თაობა“ და სააკაშვილის ყივჩალები,

### ანუ შევეგუოთ ყველაფერ ცუდს, თუ მაინცდამაინც, ვიგინოთ კიდეც, ოღონდ... ჩუმად, დელიკატურად!

**სიტყვა თაობამ უამრავი ზედსართავი სახელი მოირგო. არის ახალი თაობა, არის დაკარგული თაობა, არის ჩიფსების და ჯინსების თაობა. ფაქტობრივად სიტყვა თაობამ ყველა ბრუნვაში გაიარა. ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევით კი, 2003 წლიდან შეიქმნა თაობის კიდევ ერთი, მეტად საინტერესო ტიპი – ბუჩქების თაობა.**

დიახ, სწორედაც რომ, ბუჩქების თაობა, რადგანაც ეს სახელწოდება საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტის, და, რასაკვირველია, მომავალი პრემიერ-მინისტრის „საკმაოდ შორსმიმავალი და შედეგებზე ორიენტირებული“ ფრთიანი ფრაზის ნაყოფია.

იმ ფრაზისა, რომლითაც პირდაპირ ითქვა, რომ მდიდარი ამერიკელებისთვის კომუნისტების მიერ 1959 წელს „ახეული“ კუნძულ-ბორდელი „ორ ზღვას შუა“ მდებარე „მიწიერი სამოთხით“ უნდა ჩანაცვლდეს.

არაფერს დავწერ იმ სასწავლო პროგრამებსა თუ სახელმძღვანელოებზე, რომლებმაც ფაქტობრივად გააშიშვლეს ყოფილი სანტექნიკოსის მიერ დაწყებული განათლების რეფორმა (ღმერთო, შენ გვიშველე!ძ, არაფერს დავწერ იმ საკადრო ცვლილებებზე, რომლებმაც გია ხუბუა ივანე ჯავახიშვილის სკამზე შეასკუპეს. პრინციპში, თუ ქვანეცკის ცუდი პაროდია – იაკობაშვილი რეინტეგრაციის მინისტრია, თუ ქობალია ეკონომიკის მინისტრი და ის კიდევ „მთლად უფროსი“ (სოფლის მეურნეობის მინისტრი, კვეზერელი ვიგულისხმე, მაგრამ საინტერესოა, თქვენ ვინ იფიქრეთ?ძ, მაშინ რატომ გვიკვირს 10 000 ყივჩაღი, უკაცრავად, ინგლისურის მასწავლებელი (რომელთა ჩამოყვანითაც, თურმე, იმ კაცმა, რომელიც თქვენ იგულისხმეთ, და რომელიც მალე შეიძლება პრემიერ-მინისტრად „დააქვეითონ“, დავით ალმაშენებელს „აჯობა“ (ღმერთო, გვიშველე!!!ძ. რატომ გვიკვირს „ზოგადი ხუბუები“ და გიგი თევზაძის მიერ ფუნდამენტური, კლასიკური და საუნივერსიტეტო განათლების „ამღორძინებლობა“?

რაც მართალია და რასაც ვერ დავუკარგავ ამ ხელისუფლებას, ისაა, რომ მან აღიარა წლევანდელ ეროვნულ გამოცდებში მონაწილე აბიტურიენტთა განათლების დაბალი დონე. აღიარა, რომ ეს იმ ე. წ. რეფორმების არასწორი მიმართულების ბრალია, რომლის „სიკეთესაც“ ორიოდე წლის წინათ გვიკიჟინებდნენ.

პრეზიდენტმა იმ უვარგისი რეფორმის სანაცვლოდ საგანმანათლებლო რევოლუცია გამოაცხადა თეკოლუცია, რომელიც ძალიან ჰგავს ჩინურ „კულტურულ რევოლუციას“.

დიახ, ჰგავს, რადგანაც როგორც პრეზიდენტმა თქვა, ქართველი ბავშვები „გახდებიან ინგლისურენოვანნი“.

არც მე, და არც არავის არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ ქართველმა ბავშვებმა ინგლისური ისწავლონ, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, რომ თუნდაც პარალელურად (ძალიან რბილად ვამბობძ,ბავშვებს ჯერ ქართული ესწავლათ?



ქართული ესწავლათ, საქართველოს ნამდვილი ისტორია ესწავლათ, ესწავლათ მსოფლიოს ნამდვილი ისტორია. ის ისტორია, რომელიც ტელეარხ „საქართველოზე“ გასული ფილმებისგან განსხვავებით, ზუსტად გვეტყვის, რომ II მსოფლიო ომი ამერიკელებს არ მოუგიათ, ზუსტად გვეტყვის, რომ ინგლისელები არ არიან რომაელთა შთამომავლები და მათ მითიური მეფე არტური არ არის იულიუს კეისრის და კლეოპატრას შვილიშვილი. ესწავლათ ის ენა, რომელსაც საშინლად, საშინლად ამახინჯებენ ნებისმიერ აზრასა, თუ ჩიორა თაქთაქიშვილის მიერ დანერგილ ტიტრებიან ფილმებში.

მაპატიე ძვირფასო მკითხველო, ვიცი, რომ ელოდები კიდევ რაღაც ვთქვა. რაღაცით „შევახურო“ ეს ხელისუფლება და მათი იდეოლოგიური გენერალური შტაბი „თავისუფლების ინსტიტუტი“, ამ თვითდარქმეულ მწერლებთან ერთად (თვითმარქვია კი არა, თვითდარქმეულძ, მაგრამ ამას არ ვიზამ. რა თქვენ არ იცით? რა თქვენ ჩემსავით არ დადიხართ ქუჩაში? რა თქვენი ახლობლები არ აბარებენ ეროვნულ გამოცდებს?

ჰოდა ეს ყველაფერი ისედაც კარგად ვიცით.

რა არ იცით, რომ დღეს 10 000 ყივჩაღი, უკაცრავად, მორმონი იმ 40000 ყივჩაღურ ოჯახზე მეტ ზიანს მოუტანს საქართველოს?

კიდევ ერთხელ ვიმეორებ!

შესანიშნავია, როცა ინგლისურის სწავლა ხელმისაწვდომი ხდება ქართველი ბავშვებისთვის, მაგრამ ცუდია ქართველი პედაგოგის დისკრიმინაცია.

„აჩქარებითა სოფელი, არავის მოუჭამიაო“. ეს ანდაზა დაარღვია ჩვენმა ხელისუფლებამ.

დაჩქარებულმა განათლების რეფორმამ, დაჩქარებულმა ეკონომიკურმა რეფორმამ, დაჩქარებულმა სამხედრო რეფორმამ და კიდევ სხვა მრავალმა „დაჩქარებულად“ გადაწყვეტილმა „პრიორიტეტებმა“ მართლაც დაღუპეს „სოფელი“, ანუ საქართველო.

ჩემი აზრით, ყველა იმ აბიტურიენტის მშობელს, რომლებმაც კომპეტენციის მინიმუმი ვერ გადალახეს, სულ ცოტა ღირსების ორდენი ეკუთვნის. სულ ცოტა იმიტომ, რომ ჯერ ერთი, თუ ეგეთივე უცოდინარის მშობელი, ავლაბრის სასახლეში, შარშან დაჯილდოვდა (მაია მიმინოშვილიძ და მეორეც: – გაცილებით უფრო ცუდ პირობებში უხდებოდათ შვილებისთვის განათლების მიცემა, ვიდრე პრეზიდენტთან ჩაიზე დაპატიჟებულ და, პარალელურად, ორდენის მშოვნელ ქალბატონს.

არადა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოდით, ბევრს ნუ „ვახურებთ“, ნუ ვიხდით 30 ლარს მიღებული ქულების გაპროტესტებაში და

1. ნუ გვიკვირს, რომ საზღვარგარეთ ვიღაც მოხუცებს, ჯან-ღონით სავსე, ნიჭიერი და შრომის მოყვარე ქართველები უვლიან.

2. ნუ გვიკვირს დაკარგული ტერიტორიები

3. ნუ გვიკვირს, რომ პოლიტიკა ყოვლად გაუნათლებელი, უნიჭო და რეალურ საქმიანობაში ხელმოცარული ხალხის ყველაზე საუკეთესო დასაქმების სფეროდ იქცა.

4. ნუ გვიკვირს ოპოზიციის უნიათობა.

5. ნუ გვიკვირს ორმაგი სტანდარტები ბიზნესში, მართლმსაჯულების თუ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

6. ნუ გვიკვირს უაზრო ტელეგადაცემები, რომლებშიც არამც თუ პროფესიონალიზმი, არამედ სრული ანარქიაა?

7. ნუ გვიკვირს ის კონტრასტი, რასაც სხვადასხვა „ტუსოვკებზე „მოთუხთუხე“ „ცნობადი სახეები“ და დროებითი თავშესაფრიდან გამოყრილი თუ სხვადასხვა გეტოებში განთავსებული დევნილები ქმნიან.

8. ნუ გვიკვირს ის უამრავი რამ, რაც ნორმალურ ქვეყანაში არამც თუ უნდა გაგვიკვირდეს, არამედ ცელქი ბავშვები უნდა შევაშინოთ, რათა მათ ფაფა დროულად შეჭამონ.

ნუ გვიკვირს, ეს ყველაფერი საკუთარ სამზარეულოში გაძვირებული ლუდისა და არყის სმის დროსაც კი, რადგანაც ამას უკვე შევეგუეთ. და რადგანაც შევეგუეთ, იმასაც შევეგუოთ, რომ მოდის და მოაბიჯებს „ბუჩქების თაობა“. ის თაობა, რომელიც წესიერად, ქართულად, ქრისტიანულად აღზრდილ თავიანთ ტოლებს, არამცთუ „ჩააჩოჩებს“, არამედ „თეთრი ყვავის“ სტატუსს მიაკერებს და მათ, თუნდაც აინშტაინის IQ ჰქონდეთ, ყველა გზას გადაუჭრის ქვეყნისათვის და თავიანთი ოჯახებისთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში.

როგორც ამბობენ, „ბუჩქების თაობის“ მთავარი იდეოლოგები 26 აგვისტოს (მარიამობამდე 2 დღით ადრეძ, თავიანთი სულიერი მდგომარეობის დამაფიქსირებელ ალღუმს ატარებენ.

მოდით და, ამასაც შევეგუოთ. შევეგუოთ და ჩვენს შვილებთან ერთად სახლებში ჩავიკეტოთ, ტახტზე წამოვწვეთ, „კურიერებს“ ვუყუროთ და მხოლოდ მეუღლეების გასაგონად ვაგინოთ როგორც ალღუმის მონაწილეებს, ისე მათ ხელმძღვანელებს. ოღონდ დელიკატურად ვაგინოთ, რადგანაც ჩვენ ხომ „განათლებული და ინტელიგენტი“ თაობა ვართ!

**გია გაბრიჭიძე**

## პოლემიკა

***ობამას მიერ სააკაშვილის პუტინისთვის „გადატვირთვამ“ და პუტინის მიერ ამ „ტვირთის“ არმიღებამ „დემოკრატიის შუქურა“ ჰაერში დატოვა. მარჩენალის დაკარგვით შეშფოთებულმა პოლიტოლოგ-ექსპერტებმა თავგზააბნეული მფრინავისთვის „იძულებითი დაჯდომის“ მოსახერხებლად, „ნეიტრალიტეტის“ აეროდრომს დაუწყეს ძებნა. ასეთი კრიტიკული მდგომარეობა რომ არა (პრეზიდენტი კატაპულტის კაფსულაში კი ზის, მაგრამ „კნოპკები“ აერია და არ იცის, ხელი რომელს დააჭიროს!) აშშ-ის „სტრატეგიული პარტნიორობით“ მოხიბლულ გოგო-ბიჭებს ნეიტრალიტეტის ხსენებაზე „გაუტყდებოდათ“ (ამას წინათ ერთი „ენათმეცნიერი“ ლია ბარნაბიშვილი, მაგალითად, ბაბაჯანას საიტზე გაკაპასებული წიოკობდა, არ გამაგონოთ ნეიტრალიტეტი და რუსეთთან კეთილმეზობლობაო), მაგრამ მას შემდეგ, რაც „შავმა კაცმა“ (ბ-ნი მიხეილის გამოთქმაა) მათ მარჩენალს „პარტნიორობაზე“ უარი უთხრა, იძულებული გახდნენ, დროებით „ნეიტრალიტეტის“ მატარებელს შეახტნენ (რა მნიშვნელობა აქვს, რა ერქმევა, მთავარია საჭესთან მარჩენალი ეჯდეთ)!***

# ნეიტრალიტეტი? რატომაც არა, მაგრამ სააკაშვილს რომ მისი რესურსი აღარ აქვს?!

### მიგიხვდი, ბატონო ჯუმბერ, „რა ნესტრითაც ხარ ნაჩხვლეტი“

დანამდვილებით ვერ გეტყვით, რა აზრისა ბრძანდებოდა ბ-ნი კირვალიძე საქართველოს ნეიტრალიტეტზე, სანამ მავანს ამერიკიდან კუდს ამოაძუებინებდნენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ იგი „ნეიტრალიტეტის“ სავარძელში სააკაშვილის მეტს ვერავის მოიაზრებს, მაფიქრებინებს, რომ მაინცდამაინც კარგი აზრის არ უნდა ყოფილიყო მასზე. თუმცა მოვუსმინოთ, დღეს რა აზრის ბრძანდება: **„პრეზიდენტ სააკაშვილს აქვს უნიკალური შანსი, გამოიყენოს დასავლეთის სოლიდური მხარდაჭერა და „გადატვირთვის“ პოლიტიკის ჭრილში, შესთავაზოს დასავლეთის ლიდერებს ახალი სტრატეგიული პროექტის რეალიზება. ეს იქნება პოლიტიკური გარღვევა არსებულ სტაგნაციურ მდგომარეობაში და იმავდროულად ქვეყნის მთლიანობის აღდგენის რეალური შანსი... მე არ ვამბობ, რომ პოლიტიკური კურსი უნდა შეიცვალოს, არა, მაგრამ ამ ეტაპზე საჭიროებს კორექტირებას, ლავირებას. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული ნეიტრალიტეტის მეშვეობით, რომელსაც საერთაშორისო გარანტორები ეყოლება, საქართველო გამთლიანდება და მის სუვერენიტეტს არაფერი დაემუქრება, მაშინ ასეთი ნეიტრალიტეტის გამოცხადება და რეალიზება, თუნდაც რეფერენდუმის გზით და საზოგადოების მხარდაჭერით, ქვეყნის პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პრეროგატივაა“** („საქართველოს რესპუბლიკა“ 03.08.10).

აი, ოპტიმისტი! შანსი აქვსო? თანაც უნიკალური! რეალური! საქართველოს გამთლიანების! საერთაშორისო გარანტორებით უზრუნველყოფილი ნეიტრალიტეტის გამოცხადების! მაინც ვისი იმედი აქვს ბ-ნ ჯუმბერს, რომ, ცხინვალში ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, სააკაშვილს გარანტორებად დაუდგებიან? ვისი და, თურმე, ნატოსი და რუსეთისა: **„ამ შემთხვევაში, ნატო და რუსეთი ხდებიან საქართველოს ნეიტრალიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტორები (გარანტები). რუსეთის საჯარისო ნაწილები გავლენ საქართველოს სეპარატისტული რეგიონებიდან, მათ ნაცვლად ევროკავშირის, ეუთოსა და გაეროს ეგიდით ნატოს არაწევრი სახელმწიფოების საპოლიციო დანაყოფები განლაგდებიან. სამწუხაროდ, აფხაზები და ოსები ქართველებთან ინტეგრაციაზე რუსეთის გარანტიების გარეშე არ წამოვლენ. მოლაპარაკებების პროცესი უნდა წარიმართოს ნატო-რუსეთის საბჭოს ეგიდით და საფრანგეთისა და გერმანიის შუამავლობით და მეთვალყურეობით“.**

პოლიტოლოგს, ეტყობა, ჯერ არ გაუგია, რომ **ნატომ, ჯერ კიდევ 07.08.08-მდე, უარი უთხრა მას, ფარატინა „მაპ“-ის მიცემაზე და მისი გარანტორობისათვის მოიკლავს თავს?!** ორადორი, ვისაც სჭირდებოდათ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმად, ბუში და მაკეინი იყვნენ, მაგრამ ცხინვალის ავანტიურაზე რუსეთის პასუხმა ორივენი პოლიტიკის სანაგვეზე გადაყარა. ობამა კონფლიქტს აღარ ეძებს და რუსეთს „გადაუტვირთა“ საქართველო, თავისი სააკაშვილიანად: **„საქართველო აღარ არის დაბრკოლება რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკის ჭრილში...“** ასე რომ, ნატოს მხრივ საქართველოს გარანტორობა (ლაპარაკი აღარ არის სააკაშვილის გარანტორობაზე) მუცლიდან გამოღებული ზღაპარია.. დარჩა რუსეთი: პუტინი, მაგალითად, წინააღმდეგი არ იქნებოდა, გარანტორად დასდგომოდა სააკაშვილს საქართველოს ნეიტრალიტეტის საკითხში, მაგრამ მხოლოდ ბუქარესტის სამიტამდე, თუ ეს უკანასკნელი უარს იტყოდა ნატოში შესვლაზე, მაგრამ ბუქარესტის სამიტის შემდეგ, როცა ნატომ თვითონ უთხრა უარი, ბ-ნ მიხეილს მატარებელმა გაასწრო. რაღა ითქმის 07.08.08-ის შემდეგ, როცა მან იგი „პოლიტიკურ გვამად“ გამოაცხადა. ოპტიმისტ პოლიტოლოგს, ალბათ, იმედი აქვს, რომ გვამი შეიძლება გაცოცხლდეს. ქრისტემ ხომ გააცოცხლა ერთხელ ლაზარე! მაგრამ ბ-ნ ჯუმბერს ავიწყდება, რომ არც პუტინია ქრისტე და არც სააკაშვილი – ლაზარე. სერგეი მარკოვის თქმით, „რუსეთს აღარ აინტერესებს საქართველო“. თუმცა პუტინი გონიერი პოლიტიკოსია და გამორიცხული არ არის, რომ ოდესმე გარანტორად დაუდგეს საქართველოს ნეიტრალიტეტს, მაგრამ მხოლოდ უსააკაშვილოდ! ბ-ნ კირვალიძეს კი სააკაშვილით (სააკაშვილისთვის!) სურს და მისი პრობლემაც ეს არის. ყველა ყველა, მაგრამ **კაცს, რომელიც საერთაშორისო დანაშაულში მხილებულია და ჰააგაში გამოძახებას ელოდება, რანაირადღა აქვს უნიკალური შანსი და პრეროგატივა?!** მე მგონი, ერთადერთი, რისი უნიკალური შანსი და პრეროგატივაც დარჩენია, ის არის, რომ დროზე გაასწროს აქედან, დუბაიში, სინგაპურში ან უგანდაში (თუმცა უგანდა აღარ მიიღებს: „ზანგები“ რასისტებს ვერ იტანენ!), სანამ ჰააგაში დაუძახებენ! ნეიტრალიტეტი არა, ის არ უნდა!

იხ. 4 გვ.

პოზიცია

(მეორე გვერდიდან)

**— კიდევ ერთი, არჩევნებში გამარჯვების შემდგომ პრეზიდენტი არათუ ტოვებს პარტიას, რომ მთელი ქვეყნის პრეზიდენტად იქცეს, არამედ არჩევნების მეორე დღიდან იწყებს ფიქრს პარტიის გავლენის გაძლიერებასა და ახალ არჩევნებზე.**

**ცივილიზებულ მსოფლიოში** — ხელისუფლება აზროვნებაა და არა ასაკი, ფასობს გამოცდილება, პროფესიონალიზმი, განვლილი გზა, პატივისცემით ეკიდებიან საკუთარი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების კადრებს, ხელისუფლება თაობათა ერთიანობაა...

კონფლიქტების მოგვარების უმნიშვნელოვანესი მინისტრის პოსტზე, რომ პირადად არც შეხვედრია პრეზიდენტს, ასეთივე აღმოჩნდა საგარეო საკითხებში პრეზიდენტის სამი მრჩევლის ბედი — ისინი სამი წლის განმავლობაში ერთხელაც კი არ შეხვედრიან პრეზიდენტს, აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ ყველა ბარელიეფის, სათამაშო მოედნის, საქანელას და შადრევანის გამხსნელი პრეზიდენტი „ვერ იცლის“ შეხვედრისთვის აკადემიკოსებთან, მწერლებთან, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, საერთოდ ხალხის მიღებაზე საუბარი ხომ ზედმეტია... აშკარაა, რომ კაცს არ შეუძლია, როგორც ჩვენში იტყვიან, დამჯდარი მუ-

რომელიმე ქვეყნის სერიოზული პრეზიდენტი აწერს ხელს ერთი ვიზიტის დროს. სააკაშვილს რომ ბადალი არ ჰყავს სხვა ქვეყანაში რამდენიმე ათეული დღით გაუჩინარებაში.

ეს უკვე მსოფლიომ **აღიარა.**

**ეს არის ცინიზმიც, არასერიოზულობაც, ამპარტავნებაც და სიხარბეც...**

**ცივილიზებულ მსოფლიოში დემოკრატიულად ის ქვეყანა იწოდება, სადაც სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსია დაცული, სადაც ბალანსია პოლიტიკურ ძალებს შორის.**

**ყველა, მტერიც და მოყვარეც, ტყუის საქართველოს დემოკრატიაზე რომ საუბრობენ...**

საქართველოში ყველა პოსტი ბადმინტონის ფედერაციით დაწყებული - ქვეყნის პრეზიდენტით დამთავრებული, ერთ პოლიტიკურ პარტიას, თუ მის წარმომადგენლებს ეკუთვნით, უფრო მეტიც, ამ პარტიის იმ წარმომადგენლებს — რომლებიც „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ მოდიან...

**ასეთი დემოკრატიული ქვეყანა მსოფლიომ არ იცის. ..**

# XXI საუკუნის ქართული პარადოქსები

**საქართველოში** — ხელისუფლება ასაკია და აზროვნება არაა საჭირო, არც პროფესიონალიზმი, არც გამოცდილება, არავის აინტერესებს შენს მიერ წესიერად განვლილი გზა, მთავარია, ბავშვი იყო ბავშვობის გარეშე, უმაღლესი განათლება უცხოეთში გქონდეს მიღებული და იცოდე უცხო ენა... ძველ დროში მიღებული მოსკოვის პატრის ლუმუმბას უმაღლესი სასწავლებელი შეცვალა ამერიკის კოლუმბიის უნივერსიტეტმა, რუსული — ინგლისურმა. თუ ადრე მოსკოვში 4-5-წლიანი მძიმე სწავლა იყო საჭირო, დღეს მთავარია ვაშინგტონის უმაღლესში რამდენიმეთვიანი სწავლების დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც არაერთი უწიგნურის და გაუნათლებლის კაბინეტში მინახავს კედელზე ჩარჩოში ჩასმული, დღეს გაცილებით მეტს ექნება და აშკარად ჩანს, რომ — გაცილებით უწიგნურებს და გაუნათლებლებს.



**ცივილიზებულ მსოფლიოში** ქვეყნის პრეზიდენტი უმეტეს დროს საკუთარ ქვეყანაში ატარებს, საკუთარ ქვეყანაში ხვდება ახალ წელს და ქვეყნის ტრადიციულ დღესასწაულს, ძირითად დროს ატარებს სამუშაოს მაგიდასთან, მინისტრებთან, მრჩევლებთან, ექსპერტებთან, თანაშემწეებთან მუშაობაში, ხვდება მეცნიერების, კულტურის და ხელოვნების ნებისმიერ მოღვაწეს, ვისაც კი პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილი ექნება, ხვდება ხალხს, რეგიონების ხელმძღვანელებს, პარლამენტარებს, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა, პირადად მუშაობს დოკუმენტებზე, განსაკუთრებულად ამზადებს საკუთარ ვიზიტებს, წლის განმავლობაში მათი რაოდენობა არსად არ აღემატება 5-6-ს, ასეთივე რაოდენობით იღებს უცხოეთის ქვეყნების ხელმძღვანელებს, ხელი ეწერება უამრავ ხელშეკრულებას...

**საქართველოში სრულიად საპირისპირო სიტუაციაა:** პრეზიდენტი წლის მესამედზე მეტს ატარებს უცხოეთში, პრეზიდენტობის პირველ ახალ წელსაც კი უცხოეთში შეხვდა, საერთოდ იშვიათად არის ახალ წელს ქვეყანაში... პრაქტიკულად არ ხვდება მინისტრებს, თანაშემწეებს, სხვა ხელმძღვანელებს... ისე დაამთავრა თავისი მოღვაწეობა ბატონმა გიორგი ხაინდრავამ

შაობა, არ აქვს არც დოკუმენტებზე და კაბინეტში მუშაობის, სხვისი საუბრის მოსმენის არც ნებისყოფა და არც კულტურა... ეკლესიაშიც კი წირვის დასრულების დროს მიდის ხალხის დასანახად, ტელევიზიებით გადასაცემად და სიტყვის სათქმელად. პრეზიდენტობის 6 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბატონმა სააკაშვილმა ქვეყნებში ვიზიტების თვალსაზრისით რეკორდი დაამყარა, შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ იგი გაცილებით მეტჯერ იყო ვიზიტით სხვა ქვეყნებში, ვიდრე ეს გააკეთეს ევროპის, ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტებმა ერთად აღებული, 4-5-ჯერ და მეტჯერ იყო ბევრ ქვეყანაში, არც თუ იშვიათად პრეზიდენტის და პარლამენტის თავჯდომარის ვიზიტები კონკრეტულ ქვეყანაში ერთმანეთს ემთხვეოდა... ყველა ამ ვიზიტის დროს ხელი მოეწერა იმაზე ნაკლებ დოკუმენტებს, ვიდრე ერთი

**ყველა, მტერიც და მოყვარეც, ტყუის, საქართველოში დემოკრატიაზე რომ საუბრობენ, რადგან** მსოფლიომ არ იცის ისეთი დემოკრატიული ქვეყანა, სადაც ყველა სოფელში, ყველა ქალაქში, რაიონში, მხარეში, ყველა ავტონომიურ წარმონაქმნში, გამარჯვებული მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიაა...

სასაცილოა, თუ ეს წარმოუდგენლად მიაჩნიათ საკუთარი ქვეყნისთვის და ტოტალიტარულად თვლიან იმ ქვეყანას, სადაც ეს ასეა, მაშინ რატომ მოსწონთ ეს საქართველოში?

**ყველა ტყუის, ვისაც ეს მოსწონს, ან ვინც ყველაფერ ამაზე თვალს ხუჭავს... და ვინც ტყუის, ის არ შეიძლება იყოს და არც არის ჩვენი მეგობარი. მას სააკაშვილი და მისი რეჟიმი იმისთვის სჭირდება, რომ საქართველო დამონებული ჰყავდეს.**

**ჩვენ მართლა ავად ვართ, რომ ვითმენთ იმას, რასაც ვითმენთ — ვითმენთ სააკაშვილს და იმედი გვაქვს იმ უცხოელების, რომლებიც ერთპარტიულ ხელისუფლებას, ერთპარტიულ მმართველობას, საკუთარი ხალხის გენოციდის ქვეყანას, იმ ქვეყანას, რომლის ხელისუფლება ქვეყნის გარედან იმართება - დემოკრატიულს უწოდებენ!**

თემურ შაშიაშვილი.
„თეთრები“.
2010 წლის 16 აგვისტო.

პოლემიკა

# ნეიტრალიტეტი? რატომაც არა, მაგრამ სააკაშვილს რომ მისი რესურსი აღარა აქვს?!

(მესამე გვერდიდან)

მისასალმებელია, რომ ბატონი ჯუმბერი მიმხვდარა ნეიტრალიტეტის საჭიროებას აშშ-ის „სტრატეგიული პარტნიორობით“ შავ დღეში ჩავარდნილი საქართველოსათვის, მაგრამ იმასაც ხომ უნდა მიმხვდარიყო, რომ ბატონ მიხეილს საამისოდ არანაირი რესურსი აღარ აქვს და ეს საჭირო საქმე იმ ადამიანებისთვის მიენდო, ვისაც საამისო რესურსი აქვთ — საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის ბ-ნი ალექსანდრე ებრალიძისა და პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარის ბ-ნი ვალერი კვარაცხელიასათვის, რომლებიც ნეიტრალიტეტის პოზიციაზეც დგანან, გარანტორებისათვის საჭირო შეულახავ ავტორიტეტსაც ფლობენ და საქართველოს გამთლიანებაც ხელეწიფებათ?! რა საჭიროა ახალ ველოსიპედზე ისევ სააკაშვილის შესმა, რომელმაც პედლების დატრიალება ვერ ისწავლა (ერთხელ ხომ უკვე გადმოვარდა, მერე მასწავლებლებს ასწავლიდა, პედლები თუ არ დაატრიალე, გადმოვარდებიოძ?! გადმოვარდები, მა რა მოგივა! ოღონდ, პედლების ტრიალი ენის ტრიალში არ უნდა აგერიოს: „ჩემი ენა — ჩემი მტერიო“!

მაგრამ ბ-ნ ჯუმბერს, მგონი, ნამდვილი „ნეიტრალიტეტი“ არ უნდა ჰქონდეს მხედველობაში: **„ეს არ გახლავთ ის ნეიტრალიტეტი, რომელიც ხშირად მაგალითად მოჰყავთ ხოლმე ამ იდეის მოწინააღმდეგეებს. მხედველობაში მაქვს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ბოლშევიკურ რუსეთსა და ნოე ჟორდანიას მთავრობას შორის... ნეიტრალიტეტი თვითმიზანი არაა. ჩვენს მდგომარეობაში, ნეიტრალიტეტი არის საშუალება და მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. სწორედ ამას არ ითვალისწინებენ ქართველი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები... თუ გვინდა ქვეყნის გამთლიანება, ქართულმა საზოგადოებამ უნდა განასხვაოს ე..წ. „რუსული“ ნეიტრალიტეტი „დასავლური“ ნეიტრალიტეტისაგან“.**

აქამდე ვიცოდით, რომ ნეიტრალიტეტი იმიტომ არის ნეიტრალიტეტი, რომ არც „რუსული“ შეიძლება იყოს და არც „დასავლური“. ბ-ნი კირვალიძის გაგებით, „რუსული“ ისეთი ნეიტრალიტეტი ყოფილა, რომელიც, დასავლეთთან კეთილ ურთიერთობასთან ერთად, რუსეთთან კეთილმეზობლობასაც ითვალისწინებს, „დასავლური“ კი — ისეთი, რომელიც, რუსეთის მტრობასთან ერთად, აშშ-ის „სტრატეგიულ პარტნიორობასაც“ ითვალისწინებს. ხოლო „დასავლური“ რომ „რუსულზე“ უკეთესი იქნება, ეს თავისთავად ცხადია! თუ ასეა, რაღა გვიჭირს, ისედაც დასავლურ „ნეიტრალიტეტში“ ვყოფილვართ და რიღასთვის იტკიებს თავს ბ-ნი პოლიტოლოგი ნეიტრალიტეტზე ჯახირით?! რიღასთვის და, აი, რისთვის: სააკაშვილი დროებით „ნეიტრალიტეტს“ გამოაცხადებს, რუსეთი გაბრიყვდება და აფხაზეთ-„სამაჩაბლოს“ დაგვიბრუნებს, მერე რეფერენდუმს მოვაწყობთ და „მოსახლეობის კანონიერი სურვილით“, ისევ ნატოში შევალთ (მიგვიღებენ თუ არა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, სულ ობამა ხომ არ იჯდება მაკეინ-პეილინის „გარდამავალ“ სკამზე?!): „პრეზიდენტ სააკაშვილს აქვს უნიკალური შანსი, გამოიყენოს დასავლეთის სოლიდური მხარდაჭერა და „გადატვირთვის“ პოლიტიკის ჭრილში, შესთავაზოს დასავლეთის ლიდერებს ახალი სტრატეგიული პროექტის რეალიზება. ეს იქნება პოლიტიკური გარღვევა არსებულ სტაგნაციურ მდგომარეობაში და, იმავდროულად, ქვეყნის მთლიანობის აღდგენის რეალური შანსი... მე არ ვამბობ, რომ პოლიტიკური კურსი უნდა შეიცვალოს, არა, მაგრამ ამ ეტაპზე (ე.ი. დროებით! — **ო.ხ.**) საჭიროებს კორექტირებას, ლავირებას....“

**აა! „მიგიხვდი, მოხევევ“.... უკაცრავად, ბ-ნო ჯუმბერ, „რა ნესტარითაც ხარ ნაჩხვლეტი“: „საქართველოს გამთლიანება“ გქონიათ გუნებაში! დაილოცოს ქართული ჭკუის მადლი! რუსის ჭკუა, აბა, რას მოვა ქართულთან?! ეგრე გეთქვა რა, შე კაი კაცო, ამდენს რას მალადავებდი! თუმცა თქვენ არ გესწავლებათ: პოლიტოლოგი რის პოლიტოლოგია, ცოტა თუ არ შენილბა სათქმელი?! ეგეც არ იყოს, გულახდილად რომ გეთქვა, პუტინი ეშმაკობას მიხვდებოდა და საქართველო ვეღარ გამთლიანდებოდა!**


პრეზიდენტ სააკაშვილს ქვეყნის გამთლიანების უნიკალური შანსი აქვს

ომარ ხახაშვილი
16.08.10

◉ თვალსაზრისი

# ჩვენ რა გავაკეთეთ საიმისოდ, რომ საშიშროება თავიდან აგვეცილებინა?..



**უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საქართველოში წარმოებული ომების მიზეზებსა და უახლესი ისტორიის გაკვეთილებზე „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგს, ფილოსოფოსსა და სამხედრო ექსპერტს კახა კაციტაძეს ესაუბრა.**

**— ბატონო კახა, აფხაზეთში ომის დაწყებიდან 18 წელი გავიდა. სულ ახლახან 2008 წლის აგვისტოს ომის ორი წლისთავი იყო. ამ მოვლენებიდან საკმაო დრო გავიდა საიმისოდ, რომ უახლესი ისტორიის ეს ფაქტები უფრო დისტანციიდან იქნას შეფასებული...**

— ამ ომების შესაფასებლად, იმ პროცესების გაანალიზება მოგვიწევს, რომლებსაც საქართველოში უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. ამისათვის კი, რამდენიმე ასპექტის გამოყოფა მოგვიხდება. ცალკე თემაა, თუ რა მდგომარეობაში იყო მაშინ, და დღეს რა მდგომარეობაშია ჩვენი საზოგადოება. ამ შემთხვევაში საზოგადოებას ძალიან ფართო გაგებით ვგულისხმობ. მხედველობაში მაქვს საზოგადოების პოლიტიკურ-სოციალური ასპექტები. თუ რა ხდებოდა ჩვენს ირგვლივ და როგორ გამოვიყენეთ ჩვენ ის, რაც მოხდა. ჩვენი საზოგადოების მდგომარეობის საერთო სურათის შეფასებისას, შესაძლოა, სამხედრო ასპექტები უფრო უმნიშვნელო იყოს, ვიდრე ამავე საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ასპექტები.

**— ხშირად გვესმის, რომ 1992 წელს აფხაზეთში ომის აცილება შესაძლებელი იყო. ცნობილია, რომ აფხაზები ომისათვის მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად ემზადებოდნენ. დრომ აჩვენა, რომ ამ პროცესებში რუსული სპეცსამსახური აქტიურად იყო ჩართული. უდავოა, რომ ჩვენ რუსულ-აფხაზურ ავანტიურას წამოვეგეთ...**

— რასაკვირველია, ეს ასეა. საერთოდ, თუ კაცობრიობის ისტორიას ფილოსოფიური თვალსაწიერიდან გადავხედავთ, ასეთი ფატალურად გარდაუვალი პროცესები არ არსებობს. ბოლო გამოკვლევები აჩვენებს, რომ არათუ ჩვენი და აფხაზების ომი, რომელიც რუსეთთან ჩვენს სპეციფიკურ ომს წარმოადგენდა, არამედ ისეთი ომიც კი, როგორიცაა, მაგალითად, პირველი მსოფლიო ომი, მისი თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. და ეს, იმის მიუხედავად, რომ ყველა მეომარი მხარე ომამდე 15-20 წლით ადრე ომისათვის გამალებულად ემზადებოდა. რომ ყოფილიყო კეთილი ნება და რაც მთავარია, — გონება, პირველი მსოფლიო ომის აცილება შეიძლებოდა.

ამ ომიდან გამარჯვებული არავინ გამოსულა ისევე, როგორც ქართულ-აფხაზური ომიდან. საბოლოო ჯამში, ამ ომიდან არც რუსეთი გამოსულა გამარჯვებული, ვინაიდან, მას ამ ომის გამო პრობლემა უკვე შეექმნა და მომავალშიც კიდევ ექნება. სამწუხაროდ, ომში ჩართული ყველა მხარის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა ახლომხედველობა და ჭკუამოკლეობა სახეზეა.

**— ამ პროცესებში რუსული სპეცსამსახურის მონაწილეობა ვახსენე და, ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ აფხაზეთის ომის ერთ-ერთი ინიციატორი თენგიზ კიტოვანი, როგორც შემდგომ გაირკვა, 1998 წლის მაისის გალის მოვლენებისა და 2001 წელს კოდორის საომარ მოქმედებათა შემოქმედი, შსს ექს-მინისტრი კახა თარგამაძე მოსკოვში ცხოვრობენ. გამოდის, რომ რუსული საქმის კეთებას ხელი ქართველებმა შეუწყვეს...**

— რასაკვირველია, სხვას რომ თავი გავანებოთ, თქვენ მიერ დასახელებული პირები რომ ინიშნებოდნენ თანამდებობაზე, მაშინ არ ვიცოდით ვინ იყვნენ თუ რა? შესაძლოა, მაშინ ცალსახად არ ყოფილიყო გამოკვეთილი რუსულ სპეცსამსახურებთან მათი თანამშრომლობა, მაგრამ კიტოვანი რომ გვარდიის სარდალი ვერ იქნებოდა, ამას დიდი პოლიტიკური სიბრძნე და ბისმარკობა არ უნდოდა. საბჭოურ შსს-ში გამოზრდილი კახა თარგამაძე რომ დიდი პოლიტიკური მოღვაწე ვერ გახდებოდა, ამასაც გენიალური შორსმჭვრეტელური გათვლები არ სჭირდებოდა. დავუშვათ, რომ ისინი არც ყოფილიყვნენ რუსეთის სპეცსამსახურთან დაკავშირებული, მათი ბუნებიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე კიტოვანი და თარგამაძე საქმეს ისედაც არ გააფუჭებდნენ?

**— რუსეთმა შეძლო ეთნოკონფლიქტების ინსპირირება და რუსეთ-საქართველოს ომის ეთნოკონფლიქტებით შენიღბვა. ჩვენ ხომ არ დავაგვიანეთ იმის გაცხადება, რომ რუსეთი საქართველოს მას შემდეგ ებრძვის, რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზას დაადგა? ასეთი ვითარება სცდება იმაზე მსჯელობას, რომ ჩვენ 1992 წლის 14 აგვისტოს და 2008 წლის 8 აგვისტოს მხოლოდ ავანტიურას წამოვეგეთ...**

— ეს თემა ისევ უკავშირდება იმას, რამდენად გარდაუვალი იყო ამ ომების დაწყება და შეგვეძლო თუ არა მათი თავიდან აცილება. ასაცილებელი რომ იყო, დღეს, ამაზე აღარავინ დავობს. აქ არსებითი ის კი არ არის, რუსეთი რას ცდილობდა, არამედ ის, თუ როგორ მოვიქეცით ჩვენ, რომ რუსეთის ეს ქმედებები თავიდან აგვერიდებინა. შესაძლოა, ახალ თაობას არ ახსოვდეს, მაგრამ იგივე ბალტიისპირეთში რუსეთი ბევრს ეცადა ინტერფრონტების შექმნას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, როგორ აპირებდნენ ლიტველების პოლონელებთან დაპირისპირებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. პრობლემაც იმაშია, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ აფხაზებთან და ოსებთან კონფლიქტების თავიდან აცილება. ეს ჩვენ სამომავლოდ მაინც უნდა გავითვალისწინოთ, — თუნდაც იმისათვის, რომ მომავალში ავაცილოთ ქვეყანას ხიფათები.

რა ჰქონდათ ბალტიისპირელებს ისეთი, რაც ჩვენ ვერ გამოვიყენეთ? საუბარი იმაზე, რომ ქართველები არ ვარგივართ, თითქოს არსებობს მისტიკური ქართული ხასიათი ერისა, რომ ეს ხასიათი არ ვარგა და ცუდები ვართ და ასე შემდეგ, ეს კვლევებისათვის აბსოლუტურად არასერიოზული არგუმენტია. მიზეზი სხვა რამეშია საძიებელი. რასაკვირველია, მიზეზი ისტორიაში, ასევე სოციალურ-კულტურულ თავისებურებებშია. მაგრამ, ჩვენ უნდა შევძლოთ თავი დავაღწიოთ გაუთავებლად იმაზე საუბარს, რომ რუსები ამას და ამას გვიშვებოდნენ. ფაქტია, რომ ეს საქმეს არ შველის. მთავარია, ჩვენ რა გავაკეთეთ საიმისოდ, რომ საშიშროება თავიდან აგვეცილებინა?

საქართველოს ისტორიაში გაუთავებელი წუწუნია იმაზე, რომ თემურ-ლენგმა საქართველოზე 8-ჯერ ილაშქრა. მერე ვწუწუნებთ, რომ 1453 წელს კონსტანტინეპოლი დაეცა და ჩვენ მოვწყდით დასავლეთს. არასდროს არ ვამბობთ იმაზე, რომ თემურ-ლენგის ლაშქრობებიდან კონსტანტინოპოლის დაცემამდე 50 წელი იყო გასული და ამ მონაკვეთში საქართველომ რა გააკეთა ქვეყნის გაძლიერებისთვის, არც არაფერი. საქმეც იმაშია, რომ ისტორიიდან გაკვეთილების გამოტანა უნდა ვისწავლოთ და ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ ჩვენს შეცდომებზე რამე ვისწავლოთ. ჩვენ სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რატომ არ გამოუვიდა რუსეთს ბალტიის ქვეყნებში ინტერფრონტების შექმნა, ხოლო სამხრეთ კავკასიაში და მოლდოვაში და კერძოდ, საქართველოში ყველაფერი გაუვიდა.

**— რუსული პროპაგანდა ომების გაჩაღებას ურცხვად უკავშირებს ქართულ ნაციონალიზმსა და ხასიათს. რუსულ პროპაგანდას რომ თავი დავანებოთ, ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები რისი ბრალი უფროა, ჩვენში პოლიტიკური გამოუცდელობის და პოლიტიკური კულტურის უქონლობის, თუ მართლა ქართული ხასიათის?**

— არავინ დავობს, რომ საქართველო რუსეთთან 20 წელია გამოუცხადებელ ომშია, მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე ჩვენ ადეკვატურად არ გვიმოქმედია. ჩვენ მხოლოდ ვწუწუნებთ, რომ ავანტიურაში ჩაგვითრიეს. ქართულ ხასიათთან დაკავშირებით რუსული პროპაგანდა აბსოლუტურად აბსურდულია. ეს რომ ასე არაა, ამას ნებისმიერი ფსიქოლოგი, სოციოლოგი და ფილოსოფოსი გეტყვით. ხასიათი ინდივიდისა და ერის დამახასიათებელია. რას ნიშნავს, „ქართული ხასიათის ბრალია ყველაფერი". შეგვიძლია გავიხსენოთ გერმანელების აღწერა მე-7 საუკუნეში, მე-12, მე-18 და მე-20 საუკუნეებში.

იხ. 6 გვ.

◉ ბინათმშენებლობა

*ერონული ეკონომიკის დარგებიდან ბოლო წლების მანძილზე სამშენებლო ყველაზე სწრაფი ტემპით და მასშტაბურად რომ ვითარდება, ამას სტატისტიკაც მოწმობს და საკუთარი თვალითაც ვხედავთ. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სადღეისოდ დედაქალაქის ადმინისტრაციული საზღვრები საგრძნობლად გაფართოვდა ახლომახლო სააგარაკო ადგილების (ტაბახმელის, კოჯრის, წყნეთისა და სხვა) შემოერთებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თბილისში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სეგმენტი, რამაც დედაქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურების მხრიდან საკითხისადმი ახლებური მიდგომის აუცილებლობა განაპირობა. მოთხოვნათა შესაბამისად, საგრძნობლად გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის — თბილისის არქიტექტურის სამსახურის მუშაობაც, რის თაობაზე მის უფროსს არის ბოჭოიძეს ვესაუბრეთ.*

# პროექტები — უსასყიდლოდ









— ჩვენს სამსახურთან მოქალაქეთათვის ურთიერთობების გასაადვილებლად მისი შექმნისთანავე დავიწყეთ ზრუნვა მართვის თანამედროვე მეთოდების დასამკვიდრებლად, — თქვა ბატონმა არისმა, — შევქმენით მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რამაც მოსახლეობის მოთხოვნათა უფრო მარტივად, სწრაფად და ეფექტიანად დაკმაყოფილების შესაძლებლობა მოგვცა. ეს, ვფიქრობ, არ უნდა იყოს ურიგო თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით ყოველწლიურად დედაქალაქის არქიტექტურულ სამსახურს დაახლოებით 300-400 მოქალაქე მიმართავს. მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნამ სათანადო დოკუმენტაციის მოთხოვნა-მიღების პროცესი მნიშვნელოვნად გააიოლა: **თუ მანამდე საამისოდ საჭირო საბუთების შეგროვებასა და შესაბამისი ნებართვის მიღებას დაახლოებით სამი-ოთხი თვე სჭირდებოდა, რისთვისაც მოქალაქეს სათანადო სამსახურისთვის თავად უნდა მიემართა და ჩვენთან მხოლოდ მერე მოსულიყო უშუალოდ ნებართვის მისაღებად, ახლა ეს ვადა 3-4 დღემდე შემცირდა.**

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წამოსაწყებად კერძო პირს, ცხადია, შენობის არქიტექტურული პროექტი უნდა ჰქონოდა, რომელსაც მოქალაქე რომელიმე არქიტექტურულ სახელოსნოს ან კონკრეტულ არქიტექტორს უკვეთავდა, რაც საკმაოდ ძვირია, რადგან კვადრატული მეტრი შენობის დაგეგმარება დაახლოებით 15 დოლარის ეკვივალენტია.

**— ამიტომ, გადავწყვიტეთ მოსახლეობისთვის მთელი ეს პროცესი შეგვემსუბუქებინა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობებისთვის უფასოდ შეგვეთავაზებინა მზა არქიტექტურული პროექტები,** — განაგრძობს ბატონი ბოჭოიძე. **— შარშან სექტემბერში გამოვაცხადეთ კონკურსი ინდივიდუალური სრული არქიტექტურული პროექტების შექმნაზე თავისი კონსტრუქციული ნაწილითურთ. მასში მონაწილეობა მიიღო 109 არქიტექტურულმა სახელოსნომ და ცალკე არქიტექტორმა, რომელთა წარმოდგენილი ნამუშევრებიდან 37 გამარჯვებულად გამოცხადდა, ხოლო ავტორებს 2500-2500 ლარი გადაეცათ.**

არქიტექტურის სამსახურის უფროსის თქმით, ახლა ყველა მსურველს თითოეული გამარჯვებული პროექტის ელექტრონული ვერსიის ნახვა და მოწონებულის შერჩევა შეუძლია, რის შემდგომ თხოვნით მიმართავს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მის მიხედვით საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საჭირო არქიტექტურული და საკონსტრუქციო ნახაზების, აგრეთვე სათანადო ნებართვის მიღების თაობაზე, რის გაკეთებაც ინტერნეტით, სახლიდან გაუსვლელად შეუძლია. თავის მხრივ, არქიტექტურული სამსახური მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, ანუ რელიეფის შესაბამისად, დასკვნას გამოიტანს, შესაძლოა თუ არა კონკრეტულ ადგილას ამა თუ იმ ტიპის სახლის აშენება. პასუხს მოქალაქე 24 საათში მიიღებს და თუკი მოცემულ ტერიტორიაზე შერჩეული პროექტით სახლის მშენებლობას წინ არაფერი უდგას, შესაბამის ნებართვასაც მიიღებს, რის შემდგომ მშენებლობის დაწყება მაშინვე შეუძლია.

**— ჩვენი „შეღავათი" ის არის, რომ ყოველივე ამის წყალობით ვზოგავთ როგორც საკუთარ სამშუოა დროს, ასევე მოქალაქეთა დროსა და სახსრებს,** — ასე მიპასუხა კითხვაზე ბატონმა ბოჭოიძემ და დასძინა: **— გამარჯვებულ პროექტებს, რომელთა ნაწილი ორსართულიანი მანსარდიანი სახლებისთვისაა განკუთვნილი, სექტემბერში კიდევ 40 ახალ პროექტს დავამატებთ და ეს ძირითადი ბაზა პერიოდულად განახლდება.**

საგულისხმოა ისიც, რომ თუკი სრულფასოვანი არქიტექტურული პროექტის არსებობის მიუხედავად, მენაშენეს მასში გარკვეული ცვლილებების შეტანის სურვილი ექნება, მას ამის გაკეთების უფლება აქვს, ოღონდ ავტორთან შეთანხმებით, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე საავტორო უფლებებს ეხება. თუკი ცვლილებები პროექტის გარკვეულ გადამუშავებას მოითხოვს, ეს საკითხი მენაშენემ და ავტორმა კერძო მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყვიტონ.

**ბოლოს იმასაც გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ თუ მენაშენეს საცხოვრებელი სახლის აშენება თბილისის ფარგლებს გარეთ უნდა, მას არქიტექტურული პროექტის და საკონსტრუქციო ნახაზების მიღება არქიტექტურულ სამსახურში ასევე უფასოდ შეეძლება, ოღონდ მშენებლობის ნებართვის აღება მას უკვე ადგილობრივი მმართველობის შესაბამის სამსახურში მოუწევს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ თვალსაზრისი

(მეხუთე გვერდიდან)

# ჩვენ რა გავაკეთეთ საიმისოდ, რომ საშიშროება თავიდან აგვეცილებინა?..

ეს ორი თვისობრივად აბსოლუტურად განსხვავებულ ადამიანთა ჯგუფების ერთობლიობაა. თუ ეს ხასიათია და ეროვნული ხასიათის ასეთი კონსტანტა არსებობს, გერმანელები არ უნდა შეცვლილიყვნენ. რასაკვირველია, ასე არ არის. საქმე გვაქვს სოციალურ-კულტურული სისტემის ტიპებთან.

რაც შეეხება ქართულ ნაციონალიზმს. არსებობს ერის ორგვარი გაგება. ერთია, როცა ერი გაიგება, როგორც ეთნოკულტურული ფენომენი, ანუ ენა, კულტურა, ხელოვნება და ასე შემდეგ. მეორეა, ერის, როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ფენომენის გაგება. ეს ორი გაგება ერთმანეთს არ უპირისპირდება, პირიქით, ავსებს. ევროპულ ქვეყნებში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება ხდებოდა არსებული ეთნოკულტურული ერთობების ბაზაზე. თუ არ არსებობს ერი, როგორც ეთნოკულტურული ერთობა, სახელმწიფო ვერ შეიქმნება, მაგრამ სახელმწიფოს შექმნით ის ახალ პლანში გადადის. თვისობრივად სხვა ყოფიერებას იძენს.

ჩვენი პრობლემა იმაში იყო, რომ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ძალიან დიდი ხანია აღარ გვქონია. ბალტიისპირეთში გასული საუკუნის 80-იან წლებში არსებობდა თაობა, რომელსაც ახსოვდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენთან დამოუკიდებელი სახელმწიფო მითი იყო, ძალიან ლამაზი წარსულის და გაურკვეველი მომავლის. ჩვენთან ასე მოხდა, რომ ნაციონალიზმმა არაპატრიოტული სახე მიიღო. ნაციონალიზმს ვუწოდებ ისეთ მსოფლმხედველობას, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ერის, როგორც ეთნოკულტურული ერთობის გაგებას. პატრიოტიზმი კი არის ისეთი გაგება, რომელიც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურზეა ორიენტირებული, თუმცა, ვიმეორებ, ეს ორივე გაგება ერთმანეთს ავსებს და არ ეწინააღმდეგება. მაგრამ, ჩვენ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საფეხურზე გადასვლა ვერ მოვახერხეთ.

**— ალბათ, ამიტომაცაა, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცა, ტერიტორიების 20% დავკარგეთ და არც 18 წლის წინათ და არც ახლა არავის არაფერზე პასუხი არ უგია? ლაპარაკია ადამიანთა იმ კატეგორიაზე, ვინც მაშინ და ორიოდე წლის წინათ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდა. . .**

— ესეც იმის გამოა, რომ სახელმწიფოებრიობა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ გვქონია. იტალიის პირველმა პრემიერ-მინისტრმა, (1861წ გრაფმა კამილო კავურმა, რომელიც იტალიის სახელმწიფოს გაერთიანებას მე-19 საუკუნის 50-იან წლების ბოლოს ხელმძღვანელობდა, მაშინ როცა გამოიკვეთა, რომ იტალიის გაერთიანებას ხელს ველარაფერი შეუშლიდა, გენიალური ფრაზა თქვა — იტალიის სახელმწიფო კი შევქმენით, მაგრამ ახლა იტალიელებია შესაქმნელიო. რასაკვირველია, გრაფმა კავურმა შესანიშნავად იცოდა, რომ იტალიელები, როგორც ეთნოკულტურული ერთობა, ევროპაში უძველესი ერია, მაგრამ ის სწორედ იმას გულისხმობდა, რომ იტალიელები სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერად იყო ჩამოსაყალიბებელი. ამ აზრით, იტალიელი ერი, ახალგაზრდა ერია. პრემიერ-მინისტრ ბერლუსკონის შემხედვარე კაცი პერიოდულად იფიქრებ, რომ თანამედროვე იტალიელები ჩვენზე წინ წასულები ძალიან დიდად არ უნდა იყვნენ.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს. მაშინ როცა 1918-21 წლებში საქართველო დამოუკიდებელი იყო როგორც სახელმწიფო, თურქეთიც სწორედ მაშინ ყალიბდებოდა ნაციონალურ სახელმწიფოდ. იმხანად დიდი ომი იყო საბერძნეთსა და თურქეთს შორის. თავიდან ბერძნებმა ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწიეს, მცირე აზიის ძალიან დიდი ნაწილი დაიკავეს, მაგრამ შემდეგ ათათურქმა ბერძნები ანკარასთან სასტიკად დაამარცხა და ეს ომი ბერძნების საშინელი მარცხით დასრულდა. ამ მარცხის შედეგი იყო ის, რომ მეფე ტახტიდან გადადგა და 7 მინისტრი, ვისაც მარცხზე პასუხისმგებლობა დაეკისრა, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გასამართლებული და დახვრეტილები იქნენ. მე იმას კი არ ვამბობ, ვილაცა სიკვდილით დავსაჯოთ, უბრალოდ, მაგალითი მომყავს იმისა, რომ იმ მომენტისთვის ბერძნებს თითქმის ასი წელი ჰქონდათ სახელმწიფო და შესაბამისად, ქვეყანამ დამნაშავეების დასჯა აუცილებლად ჩათვალა.

**— რჩება შთაბეჭდილება, რომ ქართულ საზოგადოებას ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული, რომ იმ ეპოქაში მოუწია ცხოვრება, როცა საქართველოს მიერ თავისი ბუნებრივი სასიცოცხლო სივრცის, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დაკარგვა, სულ უფრო და უფრო რეალურ კონტურებს იძენს...**

— მოდით, შევთანხმდეთ იმაზე, რომ გამოუვალი სიტუაციები არ არსებობს. არსებობს სიტუაცია, როდესაც საზოგადოება თავად იყენებს თავს გამოუვალ სიტუაციაში. მაგრამ, არავითარი ფატალური აუცილებლობა იმისა, რომ საზოგადოებამ ამ მდგომარეობაში ჩაიყენოს თავი, არ არსებობს. უბრალოდ, იმდენი ჭკუა უნდა გვეყოს, რომ ამ ულელში თავი არ შეყო. უნდა სცადო, გაიაზრო და სიტუაციის ადეკვატური რეაგირება მოახდინო. ჩვენ ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო, სწორედ ამას ვერ ვახერხებდით.

გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ ჩვენ უნდა შევიმუშაოთ თვისობრივად ახალი მიდგომები სიტუაციის გადაწყვეტის მიმართ. წუწუნი საქმეს ვერ უშველის. ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ რაც არ უნდა ძლიერი ზეწოლა იყოს ჩვენზე და წამგებიან ვითარებაში ვიყოთ 20 წლის განმავლობაში, საჭიროა, საზოგადოებამ ადეკვატურად მოახდინოს იმავე საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის პროდუცირება. ოღონდ, ჯერ იდეები უნდა ჩამოყალიბდეს. ამაში კი ძალიან გვიჭირს.

ამის მიზეზი ძალიან ბევრია. უკვე ვთქვი, რომ ამის პირველი მიზეზი სახელმწიფოებრიობის დიდი ხნის მანძილზე არქონა და წყვეტაა. საქართველოს ისტორიაში ამხელა წყვეტა, რომ სახელმწიფო საერთოდ არ გვქონია, არ ყოფილა. იყო მხოლოდ ერთხელ მეექვსედან მერვე საუკუნეებში. ჯერ სპარსელებმა 522 წელს გააუქმეს იბერიაში მეფობა, შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობა ფაქტობრივად ლაზეთმა გააგრძელა, მაგრამ დიდხანს მანაც ვერ გაძლო და არაბებმა რომ დაგვიპყრეს, მეექვსედან თითქმის მერვე საუკუნემდე, ვიდრე ბაგრატიონების სამეფო არ ჩამოყალიბდა, ჩვენ სახელმწიფო არ გვქონია. შემდეგ, მოგეხსენებათ, რუსეთის იმპერატორმა 1801 წელს საქართველოს სამეფო გააუქმა და დღემდე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული არა ვართ. იმედია, რომ ჩვენ ახლა სახელმწიფოებრიობის არქონის წყვეტის ბოლო ეტაპზე ვართ.

მეორე ფაქტორია ის, რომ ჩვენ ტოტალიტალურ სისტემაში მოგვიწია ცხოვრება და ჩვენ არავითარი ინტელექტუალური შეხება არ გვქონია დასავლეთთან, ანუ ჩაკეტილობის გამო მოწინავე იდეებთან, პროექტებთან შეხება არ გვქონია და, შესაბამისად, სახელმწიფოებრიობაზე და სახელმწიფოს მართვაზე არაფერი არ ვიცოდით. ასე რომ, სახელმწიფოებრიობის წყვეტა უბრალო არ იყო. ამ თვალსაზისით, ამ პერიოდში ჩვენ არც ინტელექტუალური განვითარების საშუალება არ გვქონია. შემდეგ იყო საბჭოთა ხანა და რაც მე მახსოვს ბრეჟნევისა და შევარდნაძის ეპოქები.

ჩემი შეფასებით, ჩვენ ახლა იმას ვიმკით, რაც 70-იან წლებში შევარდნაძის მმართველობას უკავშირდება. შესაძლოა, ამის მიზეზები უფრო შორსაც მიდის, მაგრამ მე ჩემივე ასაკის გამო უბრალოდ არ მახსოვს. ჩვენი პრობლემები საძიებელია როგორც 70-იან, ისე 80-იან და 90-იან წლებში დაშვებულ შეცდომებში. ყველა ამ პერიოდში დაშვებული შეცდომები ერთმანეთს ფენა-ფენად ედება და იმდიდ ნაჭრად იქცევა, რომელსაც თუ დროზე არ ვუშველეთ, ერთხელაც ყელში გაგვეჩხირება და დაგვახრჩობს.



კობა ბენდელიანი

◉ წლები

# ამაგდარი მეცნიერის დიდი გზა

***ტექნიკური დარგის ინტელიგენციის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს ბ-ნ აკაკი დუმბაძეს დაბადებიდან 70 წელი და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.***

იგი 1940 წლის 16 აგვისტოს დაიბადა აჭარაში, ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში. 1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა მეცნიერ-მუშაკად, შემდეგ იყო დასწრებული სწავლების ასპირანტი. 1979 წელს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დაიცვა მოსკოვის ელექტრონული მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში. წლების განმავლობაში (1972-1994წ მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის კონსტრუქციებისა და პოლიმერების ცოცვადობისა და ხანგრძლივი სიმტკიცის განყოფილებაში, რომლის კვლევითი ლაბორატორია იმდროისათვის აღიარებული იყო ყოფილი კავშირის მასშტაბით. აქ ბ-ნი აკაკი ხელმძღვანელობდა თხელკედლიანი პოლიმერული კონსტრუქციების ცოცვადობის შემსწავლელ თემატიკურ ჯგუფს, რომელიც ასრულებდა როგორც საბიუჯეტო, ასევე სახელშეკრულებო (დაკვეთითძ სპეციალური დანიშნულების კვლევითს სამუშაოებს თავდაცვითი მრეწველობისათვის. 1994 წლიდან შიფრით „სამშენებლო მექანიკა“ მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება, ხოლო შემდგომში გახდა პროფესორი.



აკაკი დუმბაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებით ჩატარებული კვლევები ეხება მყარი დეფორმადი სხეულების მექანიკას, კერძოდ, დრეკად-ბლანტი (კომპოზიციურიძ სხეულებისაგან დამზადებული გარსული კონსტრუქციების გაანგარიშებას იმ პირობების გათვალისწინებით, როცა კონსტრუქცია ან მისი ელემენტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობს აგრესიული გარემოს, მაღალი (დაბალიძ ცვლადი ტემპერატურის, განვითარებული ცოცვადობით დეფორმაციებისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედების პირობებში. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული თეორიული კვლევები 26 წელზე მეტი ხანგრძლივობის ექსპერიმენტული მონაცემებით არის შემოწმებული. ამიტომ იყო, რომ ეს შედეგები დანერგეს შესაბამისი პროფილის სამხედრო ორგანიზაციებმა. თავისი ხანგრძლივობითა და სიზუსტით ეს ექსპერიმენტული მონაცემები აღემატება სამხედრო სტანდარტებით გათვალისწინებულ 18-წლიან მონაცემებს კომპოზიციური სხეულების კვლევის დარგში. ეს შედეგები საფუძვლად უდევს და თანაბარი ხარისხით გამოიყენება როგორც წყალქვეშა მცურავი, ასევე კოსმოსში მოძრავი კომპოზიციური კონსტრუქციების გაანგარიშებას.

კვლევისადმი ახალი ორიგინალური მიდგომის გამოყენებით, რაც ემყარებოდა ცნობილი კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის აპარატს, ა. დუმბაძემ შეიმუშავა გარსთა სივრცული ამოცანების ბრტყელ ამოცანებზე მიყვანის ხერხი, რის საფუძველზეც გაანგარიშებულია ბრუნვითი, კერძოდ, სფერული კომპოზიციური გარსები, რომლებსაც შეერთების მრუდი საზღვარი აქვთ. ცნობილია, რომ ასეთი სახის კონსტრუქციები ფართოდ არის გავრცელებული პრაქტიკაში.

40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, დღემდე, ბატონი აკაკი ენერგიულად მოღვაწეობს, როგორც პედაგოგი, სტუდენტებთან და მაგისტრატებთან კითხულობს ლექციების კურსს თეორიული მექანიკის, კომპოზიციური სხეულების მექანიკის, მასალათა გამძლეობასა და დრეკადობის თეორიაში. ხელმძღვანელობს დოქტორანტებს. გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შედეგები უმეტესად პრაქტიკაშია დანერგილი. მის მიერ არაერთხელ არის ოპონირებული როგორც საკანდიდატო, ასევე სადოქტორო დისერტაციები. არის მრავალი საერთაშორისო კონფერენციის, კონგრესისა და სიმპოზიუმების მონაწილე. ავიაციის, კერძოდ, კოსმონავტიკის განვითარებაში მიღწეული წვლილისათვის დაჯილდოებულია აკადემიკოს სერგეი კოროლიოვის მედლითა და ღირსების ორდენით.

შემოქმედებითი აქტივობით ხვდება ბატონი აკაკი თავისი დაბადების მრგვალ თარიღს — 70 წელს.

ამასთან დაკავშირებით, როდესაც თვალი გადავავლეთ მის მიერ უკან მოტოვებულ ათწლეულებს, აღზრდილები, მეგობრები, ახლობლები, კოლეგები, ფართო საზოგადოება კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ბატონი აკაკის სახით ქართველ ხალხს ჰყავს შესანიშნავი მამულიშვილი, ჭეშმარიტად პროფესიონალი მეცნიერი, უღალატო მეგობარი, მოამაგე, უანგარო აღმზრდელი. მას კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი და გვჯერა, რომ ამ გზაზე ბ-ნი აკაკის მრავალი წარმატების მოწმენი ვიქნებით.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

პიროვნება

# აფხაზ-ქართველთა საერთო შვილი

## სწორუპოვარი რაინდი მარუშიანთა ჯილაგისა

კიდევ ერთი ბერმუხა გამოაკლდა დიდ ქართულ-აფხაზურ საქმოს, კიდევ ერთი ბუმბერაზი კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან. აღარ არის ლორიკ მარშანია, აფხაზური სიდარბაისლითა და პეწით გამორჩეული, ჭეშმარიტად რაინდული ბუნებისა და სულის ბრძენკაცი, თანამედროვე საქართველოს ერთი გმირთაგანი, რომლის ცხოვრება და ღვაწლი უდიდესი ზნეობრივი მაგალითია როგორც თანამედროვეთათვის, ისე აფხაზთა და ქართველთა მომავალი თაობებისათვის.

დიახ, ლორიკ მარშანია ნამდვილად არის გმირი. მან ჩვენი სამშობლოსათვის გადამწყვეტ ჟამს, როდესაც რუსულმა იმპერიულმა მანქანამ წამოიწყო „ჯვაროსნული“ ომი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, უანგაროდ გადადო თავი მშობლიური აფხაზეთის, სრულიად საქართველოს გადასარჩენად და ბოლომდე ღირსეულად ატარა ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის ბურჯისა და მებაირახტრის უაღრესად საპატიო, მაგრამ, და ამასთან, შექმნილ ვითარებაში, მძიმე ჯვრად ქცეული მისია.

დიახ, ლორიკ მარშანიას ისტორიამ მეტად რთული მისია დააკისრა. ის აღმოჩნდა აფხაზთაგან უპირველესი, რომელსაც კრიტიკულ მომენტში ეყო სიბრძნე და გამბედაობა თვალი აეხილა თავის გზას აცდენილი თანამოძმეთათვის, ხმა აღემაღლებინა ვ. არძინბასა და მისი თანამოაზრეების ანტიქართული, სეპარატისტული კურსის წინააღმდეგ და უყოყმანოდ დამდგარიყო მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის სადარაჯოზე, იმ ერთობისა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ და ადუღაბებდნენ აფხაზი და ქართველი ხალხების საუკეთესო შვილები.

ბატონი ლორიკის ეს თავდადება სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. სხვანაირად ვერ მოიქცეოდა ჭეშმარიტი აფხაზი, დალიწებელდის მფლობელი მარშანიების სახელოვანი საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი, რომელმაც მშვენივრად იცოდა, თუ რა დიდი უბედურება დაატეხა აფხაზ ხალხს „მოძმე“ რუსეთმა. აკი, სწორედ მისი წინაპრები ედგნენ სათავეში აფხაზი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ XIX საუკუნეში.

ლორიკ მარშანია იმ გორისა იყო, ვინც მუდამ ერთგულად ადგა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლების დიდი ლეონ მეფისა და ბაგრატ III-ის მიერ გაკვალულ გზას. ბატონ ლორიკს ხშირად ახსენებდნენ, რომ მისი გვარი, შესაძლოა, მარუშიანთა ცნობილ საგვარეულოს უკავშირდებოდეს, რომლის წარმომადგენელი იოვნე მარუშის ძე იყო ინიციატორი და ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ბაგრატ III-ის ხელისუფლების ქვეშ სრულიად საქართველოს გაერთიანებისა. მართალია, ისტორიოგრაფიაში მარშანია-მარუშიანთა იდენტურობის საკითხი ჯერჯერობით ბოლომდე გადაწყვეტილი ნამდვილად არ არის და თვით ბატონი ლორიკიც ერთგვარი ეჭვით უყურებდა მას (ის უფრო მარშანიების ჩრდილოეთ კავკასიური წარმომავლობისკენ იხრებოდა), მაგრამ ერთი რამ უდავოა, თავისი მამულიშვილური შემართებით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთებით ლორიკ მარშანია ნამდვილად რომ მარუშიანთა ჯიშისა და ჯილაგის იყო. ის გახლდათ ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი „დიდთა საქმეთა“ გიორგი შარვაშიძისა და თავისი უფროსი მეგობრის, გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, ასევე მშობლიური აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს მხურვალე პატრიოტის ზურაბ ანჩაბაძისა. სხვათა შორის, მე როგორც პირად საუბარში, ისე საჯაროდაც, არაერთხელ განმიცხადებია ეს, რაც ბატონ ლორიკს ძლიერ ახარებდა.

წავიდა ლორიკ მარშანია. წავიდა გულმართალი კაცი, პიროვნება, რომელიც იყო განსახიერება ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისა, აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს მშვენება. კაცი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მამულიშვილი, ნამდვილი რაინდი. წავიდა ისე, რომ ვერ მოესწრო თავისი მთავარი მიზნისა და ნატვრის აღსრულებას, ვერ შეასრულა თავისი დანაპირები – აფხაზეთში დაბრუნებისას ეთამადა ენგურიდან ფსოუმდე გაშლილ ერთიან სუფრაზე.

ვაგლახ, რომ წავიდა...

ზურაბ პაპასქირი

ინფორმაცია

## აგარის შაქარი ბრაზილიური ნედლეულით

ხუთთვიანი პაუზის შემდეგ ბაზარზე „აგარის შაქარ კომპანი“ ბრუნდება. პროდუქციის წარმოებისათვის კომპანიას ნედლეული ბრაზილიიდან შემოაქვს და ყოველდღიურად 550 ტონა შაქარის წარმოებას გეგმავს. თუმცა მზარდი მოთხოვნის ფონზე საწარმო დღეში 600 ტონა პროდუქციის გამოშვებასაც შეძლებს. მენეჯმენტის ინფორმაციით, შაქრის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულზე მსოფლიოში კრიზისია, თუმცა კომპანიას უკვე დაკონტრაქტებული აქვს და საქართველოს პრობლემები არ შეექმნება. სასურსათო პროდუქციის ფასის ზრდასთან ერთად გაძვირდება თუ არა სამომავლოდ საქართველოში შაქარი, ამაზე მენეჯმენტი წინასწარ პროგნოზებს ვერ აკეთებს, რადგანაც შაქრის ფასი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ფასი იქნება შაქრის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულზე მსოფლიო ბირჟაზე.

თუმცა დღეისათვის „აგარის შაქარ კომპანი“ შაქარს 50 კილოიან ტომრებში აფასოებს, რომელსაც კომპანია 74,60 ლარად ყიდის.

წლის განმავლობაში ქვეყანა 120 ათას ტონა შაქარს მოიხმარს და მენეჯმენტის გათვლებით, აგარის შაქარი წლის ბოლომდე ბაზრის 80%-ს დაიკავებს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2009 წელს საქართველოში 50 ათას 408 დოლარის ღირებულების 105 007 ტონა შაქრის იმპორტი განხორციელდა, რაც მთლიანი იმპორტის 1,2 %-ია. 2008 წელს კი ქვეყანაში სულ 66 ათას 24 დოლარის ღირებულების 160 ტონა შაქარია იმპორტირებული, რაც მთლიანი იმპორტის 1 %-ია.

ХО-ЭОВ-ЭбО

ჩვენი კარაბადინი

# სასწაულებრივი ჭარხალი

## აწესრიგებს წნევას, აძლიერებს პოტენციას

**ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს არტერიული წნევის დაწევის აბსოლუტურად ნატურალური საშუალება, რომელიც ყველას შეუძლია გამოიყენოს. თანაც ეს სასწაულებრივი პრეპარატი იზრდება ჩვენს ბაღჩაში.**

**ეს არის ჩვეულებრივი ჭარხალი... ერთი ჭიქა ჭარხლის წვენი (250 მილილიტრი) წარმატებით სწევდა დაბლა წნევას დღე-ღამის განმავლობაში არანაკლებ მრავალი წამლისა.**



### არ დაიჯეროთ!

**საქმე შეეხება ნიტრატებს, რომლებითაც უკვე დიდი ხანია გვაშინებენ. დღეს უკვე ცხადია, რომ მათი შიში ისტორიული გადმონაშთია. მათ წინააღმდეგ კამპანია, რომელიც 1940-იან წლებში დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, სერიოზულ მეცნიერებს ხელოვნურად გაბუქებულ ისტერიად მიაჩნიათ. ნიტრატების ნეგატიური ეფექტი ორია. პირველი – ეს არის მეტჰემოგლობინემია (სისხლის მიერ ჟანგბადის ათვისების დარღვევა).** ის აღმოაჩინეს ჩვილ ბავშვებში, რომლებსაც კვებავდნენ მშრალი საბავშვო შენარევებით, რომელთაც აზავებდნენ წყალში ნიტრატების დიდი ოდენობით. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მარტო ნიტრატები ამისთვის საკმარისი არ იყო, საჭირო იყო კიდევ საკვებგადამუშავების ტრაქტის ანთება. მეორე ეფექტი – ესაა კუჭის კიბოს რისკის ზრდა. ამ თემაზე მოეწყო 50-ზე მეტი გამოკვლევა, და როგორც სპეციალისტები წერენ, „არავითარი დამარწმუნებელი“ კავშირი ნიტრატებსა და კუჭის კიბოთი დაავადებას, აგრეთვე სიკვდილიანობას შორის არ არსებობს“.

ბევრ ქვეყანაში ხშირად გაიგონებთ საუბრებს იმის შესახებ, თუ როგორ მოიწამლნენ ნიტრატიანი ბოსტნეულითა და საზამთროთი. მაგრამ ნიტრატები აქ არაფერ შუაშია, ესაა ჩვეულებრივი მოწამლვა, რომელიც გამოიწვიეს ბაქტერიებმა და ტოქსინებმა – ისინი გროვდებიან გაფუჭებულ პროდუქტებში.

მიაჩნიათ, რომ ნიტრატები შეჰყავთ მცენარეებში მათი უკეთ დამწიფებისთვის. მაგრამ ეს ხომ მითია! მათი უმეტესი ნაწილის სინთეზირება ხდება თვით მცენარეების მიერ. მათი უდიდესი ნაწილი ნატურალურია. ხელოვნურს აზოტოვანი სასუქების სახით უმატებენ, მაგრამ მათი გავლენა ამ ნივთიერებათა შემცველობაზე მეტად სუსტია. უფრო მეტიც, როდესაც შედის მცენარეში, სასუქი გადამუშავდება და, არსებითად, ნატურალური ნიტრატები ხდება, ეს ნივთიერებანი ყველაზე მეტია ფოთლებსა და ღეროებში, ნაკლები – ძირხვენებში (ჭარხალი გამონაკლისია) და ძალიან ცოტა – ნაყოფებსა და თესლებში (პამიდორი, კიტრი, ბარდა და ა.შ.). ხილსა და კენკრაში ისინი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ბოსტნეულში. იმ პროდუქტებში, რომლებიც მოწეულია სათბურებში, შუქის ან წყლის უკმარისობის გამო ნიტრატები მეტია.

ოპტიმალური დიეტა, რომელიც რეკომენდებულია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, შეიცავს დაახლოებით 500 გრამ ბოსტნეულსა და ხილს. მეცნიერებმა მიჩიგანისა და ტეხასის უნივერსიტეტებიდან დაიანგარიშეს, რომ იგი 55 პროცენტით აჭარბებს ნიტრატების იმ დღიურ ნორმას, რომელიც დაადგინა იმავე ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ. როგორ მოვიქცეთ?

დღეს უკვე ცხადია, რომ თუ მოახდენენ კიდეც ამ დიეტის კორექტირებას – მხოლოდ ბოსტნეულისა და ხილის მოხმარების გაზრდის მიმართულებით. აი ნიტრატების ნორმებს კი გადასინჯავენ, თუმცა არც ისე მალე – მეცნიერებისა და ბიუროკრატიის საზღვარზე მყოფი ისეთი საკითხები ძალიან დიდი ხნის განმავლობაში წყდება.

### ნიტრატები და სექსი

**„ძველი შეხედულებების საპირისპიროდ, ნიტრატები კუჭში გარდაიქმნებიან არა კარცეროგენებად, არამედ აზოტის ოქსიდად (მჟაველძ. ეს უკიდურესად სასარგებლო ნივთიერება იცავს კუჭს ანთებისგან, წყლულისა და კიბოსაგან, – ამბობს ექიმი-გასტროენტეროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბიჭიკო გელაშვილი. – ანთების საწინააღმდეგო წამლები ზრდიან კუჭის სისხლდენის რისკს. მაგრამ თუ მათ მივიღებთ წყალთან ერთად, ნიტრატების საკმაო რაოდენობით, გართულებები უფრო იშვიათად ხდება.**

კიდევ ერთი პარადოქსი: რეკლამა მოგვიწოდებს ვებრძოლოთ ბაქტერიებს პირის ღრუში სპეციალური კბილის პასტებითა და ჯაგრისებით, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს ზრდის კუჭის დაავადებათა, და კიბოსიც კი, განვითარების რისკს. ბაქტერიები, რომლებიც ბუნებრივად არიან პირის ღრუში, გვეხმარებიან ნიტრატების ნიტრიტებად გადაქცევაში (ამ ნივთიერებათა სახელწოდება ერთი ასოთი განსხვავდება), ეს უკანასკნელები კი კუჭში ნაწილობრივ აზოტის ოქსიდად გარდაიქმნება.

წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, თუ თავსმოხვეული ჰიგიენის შემდეგ პირის ღრუში ცოტა ბაქტერია დარჩებოდა: თავიდან ისინი ვერ შეძლებდნენ შეექმნათ ნიტრატების საკმარისი ოდე-



ნობა, შემდეგ კი კუჭში წარმოიქმნება ცოტა აზოტის ოქსიდი. მაშასადამე, ის საკმარისად არ იქნება დაცული“.

ინგლისელმა მეცნიერებმა შეადარეს, თუ როგორ მოქმედებს არტერიულ წნევაზე ჭარხლის წვენი და კაფსულები ნიტრატით და სამკურნალო ეფექტიც. ნიტრატები უკეთ სწევდნენ დაბლა წნევას ჰიპერტონიით დაავადებულებში და მამაკაცებში. მაგრამ ამ ნივთიერებით მდიდარი ბუნების ძღვენი ასევე სასარგებლოა ქალებისა და ნორმალური წნევის ადამიანებისთვისაც. ნიტრატები ასევე ახდენენ პროფილაქტიკურ ეფექტს ჰიპერტონიის განვითარებისა და გულის სხვა დაავადებებთან დაკავშირებით. და არა მხოლოდ მათთან დაკავშირებით.

აზოტის ოქსიდი, რომელიც წარმოიქმნება ჩვენს ორგანიზმში ბუნებრივი გზით და დამატებით ნიტრატებისგან ხდება მათი სინთეტიზირება, ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს – აღუნებს სისხლძარღვებს, აუმჯობესებს იმუნიტეტსა და... სერიოზულ გავლენას ახდენს ინტიმურ ცხოვრებაზე. ის ძალიან სჭირდებათ მამაკაცებს სექსის დროს: პრეპარატები, რომლებიც აძლიერებენ პოტენციას, მუშაობენ სწორედ ამიტომ, ზრდიან მის შინაარსს.

ЗДОРОВЬЕ

### ჩვენი რეკომენდაცია

**ჭარხლის წვენი ჩვენში, პრაქტიკულად, არ იყიდება, ამიტომ მიირთვით ნებისმიერი კერძი ჭარხლით – სალათითა და ვინეგრეტით დაწყებული და ბორშით დამთავრებული. სასიამოვნო და სასარგებლოა უბრალოდ მოხარშული ჭარხალიც. ნუ დაივიწყებთ სხვა ბოსტნეულს, ხილსა და მწვანილს. მათაც შეაქვთ თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი. განსაკუთრებით ეს შეეხება ბოსტნეულის სალათს მწვანილით. ჭარხლის წვენი კი ასევე თავადვე შეგიძლიათ დაამზადოთ.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი ანტირუსულ ბლოკს ქმნის

**საქართველოში მოლდოვის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლის მიხაი გიმპუს ვიზიტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს გეოპოლიტიკურ დანაწილებაზე პოსტსაბჭოთა სივრცეში. როგორც გავარკვიეთ, საქართველოს ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა და მისმა მოლდოველმა კოლეგამ გადაწყვიტეს ახალი სიცოცხლე მიანიჭონ სუამს, რომელიც აერთიანებს საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და მოლდოვას. ალიანსს მოსკოვი „ანტირუსულად" მიიჩნევს. არ გამორიცხავენ, რომ წინადადებას – შეუერთდეს სუამს – შესთავაზებენ ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოსაც. ჯერჯერობით კი ბატონმა სააკაშვილმა მიიწვია იგი საქართველოში**

მიხეილ სააკაშვილმა საგულისხმო გულითადობით მიიღო მიხაი გიმპუ, რომელმაც უკანასკნელ ხანებში მოასციებული ურთიერთობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, რაც შეინიშნებოდა მოლდოვის ადრინდელ, კომუნისტურ ხელმძღვანელობაში.

სხვათა შორის, როგორც ჩვენმა გაზეთმა გამოიკვლია, მიხაი გიმპუს საქართველოში აშკარა პოლიტიკური არსის მოგზაურობას ჰქონდა ამბიციური გეოპოლიტიკური მიზნებიც. კერძოდ, პრეზიდენტებმა მოილაპარაკეს გაააქტიურონ ძალისხმევა სუამის ასაღორძინებლად, რომელიც შეიქმნა 1999 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პატრონაჟით და რომელსაც მიანიჭეს დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის სახელი.

უკანასკნელ წლებში ამ ალიანსს არ ჰქონია საუკეთესო პერიოდი. საკმარისია ითქვას, რომ ოთხეულის პრეზიდენტები უკანასკნელად შეიკრიბნენ 2007 წლის ზაფხულში. მაგრამ ბატონებმა გიმპუმ და სააკაშვილმა მოილაპარაკეს შთაბერონ ახალი სული სუამს.

ნეხილეთ ჩვენთან ეს საკითხი, მას „ერთობ დელიკატური" უწოდეს. მაგრამ ყირიმში ბატონების სააკაშვილისა და ლუკაშენკოს ამასწინანდელი შეხვედრის შემდეგ მინსკსა და თბილისს შორის შეინიშნება აშკარა დაახლოება. უფრო მეტიც, საქართველოს ხელმძღვანელობაში გვაცნობეს, რომ მიხეილ სააკაშვილმა უკვე გაუგზავნა ბელარუს კოლეგას მოწვევა საქართველოში, კერძოდ კი, კურორტ ანაკლიაში, სადაც მას სტუმრად ჰყავდა მიხაი გამპუც. ამჟამად საქართველოს ხელისუფლება ელოდება ოფიციალურ პასუხს მინსკიდან.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ხელმძღვანელობის გააქტივიზებულ კონტაქტებში პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ექსპერტები ხედავენ სურვილს, შეიქმნას ერთგვარი „ანტირუსული კოალიცია". მოლდოველი დამოუკიდებელი პოლიტოლოგი ბოგდან ცირდია დარწმუნებულია, რომ მიხაი გიმპუ დაინტერესებულია, შეიქმნას „შავიზღვისპირა რკალი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს რუსეთის გავლენა რეგიონში". „ამასთან დაკავშირებით შეიძლება ველოდოთ სუამის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, გამოცოცხლებას, რომელშიც თავის დროზე სწორედ თბილისი და კიშინიოვი თამაშობდნენ მთავარ როლებს, – მიაჩნია ექსპერტს. – გიმპუს ყველა უკანასკნელი აქციის მიზანია, ბოლო მოუღონ მოლდოვასა და რუსეთის კავშირებს და ჩამოაშოროს რესპუბლიკა დსთ-ს".



სხვათა შორის, მოსკოვში ჯერჯერობით ვერ ხედავენ საფრთხეს სუამის საქმიანობის განახლებაში. და პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ ორგანიზაციიდან, არსებითად, გამოვარდა უკრაინა, რომელიც ვიქტორ იანუკოვიჩის ხელმძღვანელობით დაუახლოვდა მოსკოვს და არ ავლენს სურვილს, მხარი დაუჭიროს ამ ალიანსს პოლიტიკური თვალსაზრისით. „რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, უკრაინა არ აპირებს სუამიდან გამოსვლას, მაგრამ ჩვენმა კიეველმა კოლეგებმა აშკარად გვაგრძნობინეს: მათთვის პრიორიტეტულია ეკონომიკა და არა პოლიტიკა, – განაცხადა ჩვენთან თანამოსაუბრემ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელიც კურირებას უწევს ურთიერთობას უკრაინასთან, ბელარუსთან და მოლდოვასთან. – მაგრამ სწორედ დიდ ეკონომიკურ პროექტებს სუამის ფარგლებში ჩვენ ვერ ვხედავთ".

წრო, გაეკეთებინა რამდენიმე თავდასხმა რუსეთის მისამართით: მაისში მოლდოვის ლიდერმა უგულებელყო მიწვევა, დასწრებოდა გამარჯვების აღლუმს მოსკოვში. ივნისში თავისი ბრძანებულებით დააწესა მოლდოვის საბჭოთა ოკუპაციის დღე. აგვისტოში კი სახელმწიფო ჯილდოებით დააჯილდოვა ტერორისტული ჯგუფის „ბუჟორის" წევრები, რომლებსაც ბინა ჰქონდათ დადებული დნეპრისპირეთში 1992 წლის კონფლიქტის დროს. ორდღიანი ვიზიტის დროს საქართველოს ლიდერმა ბატონ გიმპუს დაათვალიერებინა ბათუმის ღირსშესანიშნაობანი, დაესწრნენ ერთად კრის დე ბურგის კონცერტს და იყვნენ აფხაზეთის საზღვართან, სოფელ ანაკლიაში – იქ აგებულია კურორტი, სადაც ამჟამად ისვენებენ წყალდიდობით დაზარალებული მოლდოველი ბავშვები და მოზარდები ბელარუსიდან.

ვიზიტის დროს არანაირი დოკუმენტისთვის ხელი არ მოუწერიათ. პრეზიდენტებმა გადაწყვიტეს, არ გაემართათ ერთობლივი პრესკონფერენციაც კი, მას არჩიეს პირისპირ ურთიერთობანი. სხვათა შორის იმ ლიდერების თავად შეხვედრაც, რომლებიც სარგებლობენ „ანტირუსული" პოლიტიკოსების რეპუტაციით, საჩვენებელია და იგი მიზნად ისახავს, მოახდინოს თბილისისა და კიშინიოვის დაახლოება გა-

როგორც ჩვენ გაზეთს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განუცხადა, სუამის წევრებს „ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ მუშაობა თანამეგობრობის განვითარების გზების ძიებისთვის". „ორგანიზაცია ცოცხალია. ყველა ქვეყანა დაინტერესებულია განახორციელონ ეკონომიკური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო პროექტები. ეს არის სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის შექმნაც, აზერბაიჯანიდან ენერგოშემცველების ტრანზიტიც საქართველოს გავლით და ტურისტული პროექტებიც", – განმარტა ბატონმა ვაშაძემ. მისი სიტყვებით, ოთხეულის საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელები შეიკრიბებიან შემოდგომით ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის დროს, რათა განსაზღვრონ სუამის სამიტის თარიღი და მისი დღის წესრიგი. „დიდი ალბათობით, ასეთი სამიტი გაიმართება მიმდინარე წლის ბოლომდე", – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

ჩვენი გაზეთის მონაცემებით, მოლდოვისა და საქართველოს ხელმძღვანელების შეხვედრის დროს განიხილეს კიდევ ერთი იდეა – სუამში ბელარუსის ლიდერის ალექსანდრ ლუკაშენკოს შესაძლო მიწვევის შესახებ. თუმცა, ქართველი ოფიციალური პირები კატეგორიულად უარს ამბობდნენ გა-

ცხადია, რომ მიხაი გიმპუც მიხეილ სააკაშვილთან ერთად უკრაინას მიიჩნევს სუამის „სუსტ რგოლად". ამიტომ არ იქნებიან წინააღმდეგნი, შეეცვალათ იგი რუსეთის ფედერაციასთან მოკონფლიქტე ბელარუსით.

**ვლადიმირ სოლოვიოვი,**
**გიორგი დვალი,**
**ვლადიმირ პოპოვი**

Коммерсантъ

# დასჯა ევროპულად

**ევროკავშირმა ოფიციალურად დაამტკიცა ახალი სანქციები ირანის წინააღმდეგ. ევროპას განზრახული აქვს, „ჩაშალოს" ირანის გაზის მოპოვება. ახალი ზომები ანალოგიურია ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და ითვალისწინებს მთელ რიგ საფინანსო-ეკონომიკურ შეზღუდვებს იმ პირებისა და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დაკავშირებული არიან ირანის ბირთვულ პროგრამასთან**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ ევროპული სანქციების ჯამი, აგრეთვე ადრე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მიღებული შეზღუდვითი ზომები ირანთან დაკავშირებით „ხელს არ უწყობენ პრობლემის უსწრაფეს პოლიტიკურ-დიპლომატიურ გადაწყვეტას".

რას მოგვცემს დასჯის ასეთი ზომები? იტყვის კი ირანი უარს თავის ბირთვულ პროგრამაზე? უბიძგებს კი ევროკავშირის გადაწყვეტილებანი ირანის მთავრობას მოლაპარაკების მაგიდისკენ?...

ვაი რომ, აქ პერსპექტივები არ გამოიყურება სასიხარულოდ. დამოუკიდებელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის ზომები ამავე დროს ზიანს აყენებს გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის ინტერესებს. საბერძნეთი, კვიპროსი და მალტაც ასევე აღფრთოვანებული არ არიან ირანის ხომალდების შეზღუდული შესვლით ევროპის ნავსადგურებში. საფრანგეთის კომპანია „ტოტალის" წამყვანი მმართველი კრისტოფ დე მარჟერი კი საერთოდ ამ ზომებს „სერიოზულ შეცდომას" უწოდებს. „კვლავ დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ ემბარგო ზიანს აყენებს მოსახლეობას – ამბობს იგი. – ჩვენს დღეებში ძალიან ბევრი რამის პოლიტიზება ხდება. „ტოტალი" დაემორჩილება, მაგრამ ეს ზომები არ არის კარგი საშუალება პოლიტიკური ხასიათის აზრთა სხვადასხვაობის გადაჭრისთვის".

დიდად არ სწამს ამ სანქციების ეფექტი ბარბარა ლოხბირერსაც, ირანში ევროპარლამენტის დელეგაციის თავმჯდომარეს: „ირანს აქვს შესაძლებლობა, გადალახოს სანქციების შედეგები შუამავლებთან, მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობის წყალობით".

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ირანისთვის თავისი ბაზრების დახურვით ევროპა უბიძგებს მას ჩინეთისკენ, რომელსაც დიდი მადა აქვს გაზთან დაკავშირებით. ძალიან დიდია ირანის ენერგეტიკული სიმდიდრეები, რომ მის შესახებ დაივიწყონ და მიატოვონ ირანი „ბედის ანაბარა", როგორც გაერო მოექცა იგივე მიზნებით ზიმბაბვეს. მაგრამ ევროპა ძალიან შეეჩვია მეორე ხმაზე სიმღერას ამერიკის შეერთებულ შტატებთან დუეტში და არ ისწრაფვის, წინ გაიხედოს. დაე ამერიკელები იმზირებოდნენ წინ, ისინი უკეთ ხედავენო.

ერთხელ ფრანგმა ეკონომისტმა ფედერიკ ბასტიამ თქვა: „თუ საქონელი არ გადადის საზღვარზე, საზღვარზე გადავა არმია".

როგორ შეესაბამება ერთმანეთს ევროკავშირის სანქციები ირანის ენერგეტიკული სექტორის წინააღმდეგ მოწოდებებს სავაჭრო კავშირურთიერთობის ლიბერალიზაციის შესახებ? ნატოს გენერალურმა მდივანმა რასმუსენმა, როდესაც მას ამ საკითხზე შეეკითხნენ, თქვა, რომ დაპირისპირებას თავისუფალი ბაზრისკენ მის მოწოდებებსა და ზომებს შორის ირანის წინააღმდეგ, ის ვერ ხედავს. პირიქით, „საერთაშორისო გაერთიანების აქციები მიზნად ისახავს სამხედრო ზომების თავიდან აცილებას. იმედი მაქვს, რომ პოლიტიკური და დიპლომატიური ზომები მიგვიყვანენ პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შედეგამდე".

ირანელებმა, რომლებიც არასოდეს ეძებენ სიტყვებს ჯიბეში, უმალვე განაცხადეს, რომ „გამოყრიან დასავლელ კომპანიებს, რომლებიც აჭიანურებენ გაზის საბადოების დამუშავებას" და შეცვლიან მათ სამამულო საწარმოებით.

და ირწმუნებიან, რომ მათ აქვთ სათანადო პოტენციალი და „ნოუჰაუ", რათა, „ადვილად შეცვალონ უცხოური კომპანიები სამამულოთი". „ირანისთვის დაწესებულმა ახალმა სანქციებმა შეიძლება „გაყინონ" ბირთვული პროგრამა, მაგრამ მას ვერ შეაჩერებენ, – განაცხადა ირანის ბირთვული პროგრამის ხელმძღვანელმა ალი აკბარ სალეიმ. ის დარწმუნებულია, რომ მრეწველები გამონახავენ გზებს, რათა მიიღონ ტექნოლოგიები მესამე ქვეყნებიდან. მით უმეტეს, რომ მსოფლიო საფინანსო კრიზისის პირობებში დასავლელი მეწარმეები დაინტერესებული არიან ბაზრებით და არ აპირებენ მათ დაკარგვას.

რაც შეეხება რუსეთს, ბევრის აზრით, იგი, ალბათ, ირანის ენერგეტიკული სექტორის წინააღმდეგ დაწესებული ზომებით მოიგებს კიდეც, ვინაიდან მისი ევროპაში სტრატეგიული პარტნიორის მდგომარეობა ნავთობგაზის სექტორში ხდება უფრო მყარი. ტექნოლოგიების ბაზრების ორიენტაციის შეცვლით დასავლელი ფირმები ბუნებრივად სწორედ მის მხარეს შემობრუნდებიან.

„როგორც კლიენტები, ირანელები გამოირჩევიან კაპრიზულობით, ამიტომ რუსეთის რეალური დანაკარგები მცირე იქნება, – წერს ბრიტანელი ექსპერტი. – ევროკავშირთან დაახლოებით რუსეთი ერთმნიშვნელოვნად მოიგებს".

მაგრამ დიპლომატია არის დიპლომატია. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში რუსეთის ფედერაციის ელჩმა ევროკავშირში ჩიჟოვმა განაცხადა, რომ რუსეთს საერთოდ „ევროკავშირის დამატებითი ზომები მთლიანად შეცდომად მიაჩნია", ვინაიდან გაეროს უშიშროების საბჭოს ზომები, რომლებიც ადრე იქნა მიღებული, საკმარისია. ასე რომ, რუსეთს არ აკისრია ვალდებულებანი შეუერთდეს სხვა დამატებით ინიციატივებს. თანაც სანქციები უნდა იყოს მიმართული ატომურ ენერგეტიკაზე და არა ქვეყნის ეკონომიკაზე მთლიანად. საჭიროა „გონივრული სანქციები", რომლებიც თავიდან აგვაცილებენ ირანის გადაქცევას ბირთვულ სახელმწიფოდ.

რუსეთი გააგრძელებს თანამშრომლობას ირანთან ბუშერის ატომური სადგურის მშენებლობაში, ვინაიდან იქ გამოიყენება „მჩატე წყალი", და არა „მძიმე", რომელიც აუცილებელია ატომური იარაღის შესაქმნელად. რუსეთის კომპანიები მზად არიან, ითანამშრომლონ კვლავაც ირანის ნავთობგაზის სექტორთან, ვინაიდან ეს არ ეწინააღმდეგება გაეროს სანქციებს.

**ანია ვედენსკაია**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

***P. S. ერთი სიტყვით, უმალვე, რაც მიიღეს გადამჭრელი ზომები ირანის წინააღმდეგ, ევროპელებმა დაიწყეს პასუხის ძებნა შეკითხვაზე: რა იქნება ახლა? უცნაურია, დამეთანხმებით, აზრის ასეთი თანმიმდევრობა. განსაკუთრებით პოლიტიკისთვის. სხვათა შორის, ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე ისეთ სერიოზულ ქვეყნებთან, როგორებიცაა რუსეთი და ჩინეთი, რომლებზეც ძალიან დიდად არის დამოკიდებული ურთიერთობა ირანთან. ერთგვარი ტრადიციული ქედმაღლობაა, მეტად უადგილო თანამედროვე მსოფლიოში.***

# რატომ არის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი შეუმჩნეველი?

**ამას წინათ ბრიტანელმა ასტრონომებმა გამოაცხადეს, რომ აღმოაჩინეს ახალი, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი. თუ ეს სიმართლეა, რატომ შენიშნეს მხოლოდ ახლა?**

**ბ. ვახტანგაძე. ხაშური**



„უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვარსკვლავი არის არა ჩრდილოეთის, არამედ სამხრეთ ნახევარსფეროს ობიექტი. ის იმყოფება მაგელანის დიდი ღრუბლის გალაქტიკაში, – გვითხრეს აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. – ეს ვარსკვლავი შენიშნეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძალიან შორსაა. ისე შორს, რომ შუქი მისგან ჩვენთან მოდის მხოლოდ 160 ათასი წლის შემდეგ. ეს ვარსკვლავი მზეზე 10 მილიონჯერ უფრო კაშკაშაა და ასობით მასზე მძიმე. ასტრონომიისთვის ეს მართლაც დიდი აღმოჩენაა.

ჩვენი ბიბლიოთეკა

– აქ სხვანიც ყოფილან, – თქვა მოგვმა. – ისინიც მაგიის სწავლებასა მთხოვდნენ. მაგრამ მე უკვე ბევრს ვასწავლე ყველაფერი, თუ რამ საჭირო იყო. ასე რომ ჩემი ვალი კაცობრიობისთვის ერთიორად გადახდილი მაქვს. აწ მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ მარტოდმარტო ავიდე მთებში, ბაღი გავაშენო, ღმერთს ვეურთიერთო.

– ეგ ტყუილი და ნაცილია, – თქვა მოგვის სიტყვების პასუხად ყმაწვილქალმა.

– როგორ თუ ტყუილი და ნაცილია?! – გაიკვირვა მოგვმა.

– არ ვიცი, იქნებ მართლაც გწადს ღმერთთან ურთიერთობა, მაგრამ რა ვქნა, ვერ დავიჯერებ, რომ მარტოობა გინდოდეს.

ბრიდამ მყისვე ინანა, ეს რამ მათქმევინაო. ის სანანებელი სიტყვები თავისთავად წამოსცვივდნენ პირიდან, და აწღა უკვე გვიან იყო მარცხის გამოსწორება. ანდა იქნებ სულაც მართლა არიან ისეთი ადამიანები, ვისაც მოსწონს სიმარტოვე? ან იქნებ ქალებს მართლაც უფრო მეტად ეჭირვებათ კაცები, ვიდრე კაცებს – ქალები?

თუმცა, მოგვი არ გასჯავრებია ბრიდას, ეს რა მითხარიო.

– მხოლოდ ერთ რასმე გკითხავ, – თქვა მან. – არავითარი სიცბიერე, ალალად და წრფელად უნდა გამცე პასუხი. თუ რომ მართალს მეტყვი, თხოვნას შეგისრულებ, თუ რომ იცრუებ, ამ ტყეში მეტად ვეღარ მოხვალ ვეღარასოდეს.

ბრიდამ სული მოითქვა. ისეთი რა კითხვა უნდა იყოს, რომ გულწრფელად ვერ უპასუხოს. არამც და არამც არ იცრუებს, ანდა რადა სჭირდება ტყუილი და ნაცილი?! უბრალოდ, მუდამ ეგონა, რომ ვისაც თავიანთ მოწაფეებად ირჩევენ, მოძღვარნი იმათგან სულ სხვა რასმე, ბევრად უფრო რთულ ამბებს ითხოვენ.

მოძღვარი მთელი ტანით შემობრუნდა ბრიდასკენ. თვალები ციცინათელებივით აუციმციმდნენ.

– ვთქვათ, ვიკისრე შენთვის იმ ყველაფრის სწავლება, რაც რამ თავად ვიცი, – აძრახდა მოძღვარი და თვალი თვალში გაუყარა ყმაწვილქალს. – მოგახილვინე პარალელური სამყაროები, გარს რომ გვახვევია, მოგახილვინე ანგელოზები, გაზიარე ბუნების სიბრძნეს, მთვარის ტრადიციისა და მზის ტრადიციის სუყოველ საიდუმლოს. და აი ერთხელ, ქალაქში რამე საყიდლებზე გასული, გადაეყარე ჭაბუკს ვისმე, შენს ბედს.

„მერედა, როგორ უნდა ვიცნო?“ – გაიფიქრა ბრიდამ, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს: საკითხი ბევრად უფრო რთული გამოდგა, ვიდრე თავად ფიქრობდა.

– ისიც მიხვდა მისახვედრს, შენში თავისი ცხოვრების ქალი დაინახა და დაგიახლოვდა. შეიყვარეთ ერთმანეთი, გამიჯნურდით. ჩვენ განვაგრძეთ ჩვენი მეცადინეობა, დღისით ჩემთან ერთად ეწაფები სამყაროს სიბრძნეს, ღამით კი იმასთან ერთად სიყვარულის სიბრძნითა თვრები. მაგრამ ჩამოჰკრა ჟამმა, და ჩვენი გზები უნდა გაიყაროს. შენ არჩევნის წინაშე დგახარ.

მოგვი დადუმდა. ჯერ არ შეჰკითხვოდა, პასუხი კი უკვე აშინებდა. ამ ყმაწვილქალის მოსვლა დღეს ორივეს ცხოვრებაში რაღაცა დროის დასასრულს მოასწავებდა. მოგვმა ზუსტად იცოდა ეს ამბავი, რადგან კარგად იცნობდა მოძღვართა ტრადიციებსა და მოწოდება-დანიშნულებას. და ისევე ეჭირვებოდა ეს ყმაწვილქალი, როგორადაც ყმაწვილქალს – მოგვი. მაგრამ ამწუთას ყმაწვილქალს სიმართლე უნდა ეთქვა – ასეთი იყო ერთადერთი პირობა.

– როგორ მოიქცევი, თქვი, პირდაპირ მითხარი, – წარმოთქვა ბოლოს მოგვმა, ერთგვარად გულმოცემულმა. – რათა შენი ცხოვრების კაცს შეუერთდე, ყველაფერზე ხელს აიღებ თუ არა, რაც შეიცანი, და უარყოფ თუ არა ყველა იმ იდუმალ შესაძლებლობას, რაც გრძნება-მაგიაში მთელი სიღრმითა და სიგრძე-სიგანით ჩაგახედებს?

ბრიდამ მოგვს თვალი მოაცილა. ირგვლივ მთებსა და ტყეს ბინდმა დაჰკრა, ქვევით, დაბაში, უკვე ჭიატობდნენ ფანჯრები. საკვამურებიდან კვამლი სვეტებად ამოიმართა. ჩანდა, რომ დაბელები მალე ვახშმად დასხდებოდნენ. აქ შრომისმოყვარე და ღვთისმოშიში ხალხი ცხოვრობს. მოყვასის ხელის ასაპყრობად აქ მუდამ მზად არიან. სიყვარულის ძალას მონებენ და იმიტომ. სიყვარულის მონება კი სიყვარულის შეცნობამ იცის. აქაურთა ცხოვრება ხელისგულზე დევს, საცნაურია და ცხადი, რაც რამ სამყაროში ხდება, აქაურთათვის არცრა მიუღწეველია და არცრა მიუწვდომელი, თუმცა ყურიც კი არ მოუკრავთ არავითარი მთვარისა თუ მზის ტრადიციისთვის.

– მერედა, ჩემი ძებნა-ძიება რად უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჩემს ბედნიერებას? – თითქოსდა თავისთვის იკითხა ბრიდამ.

– ჩემს კითხვას უპასუხე,– მოგვი პირდაპირ თვალებში უყურებდა ყმაწვილქალს. – თანახმა ხარ თუ არა, რომ შენი რჩეულის გულისთვის ყველაფერზე აიღო ხელი?

ბრიდამ იგრძნო, რომ ყელში ცრემლი მოებჯინა. რა მიხვედრა უნდოდა, რომ ეს უბრალოდ კითხვა არ იყო – რა თქმა უნდა, არჩევნის წინაშე იდგა, რომლის უფრო ძნელ არჩევანსაც იქნებ ოდესმე არცვინ არ მოსწრებია. ბრიდა წინათაც არაერთხელ დაფიქრებულა ამაზე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152.

იყო დრო, როცა თავის თავზე უფრო მნიშვნელოვანი ამქვეყნად არა მიაჩნდა რა. შეყვარებულიც ბევრი ჰყოლია და ყოველთვის სჯეროდა, რომ თითოეული იმათგანი ერთნაირად უყვარდა, მაგრამ აუცილებლად დგებოდა ჟამი, როცა დაატყობდა ხოლმე, როგორ იშრიტებოდა და იფიტებოდა სიყვარული. სიყვარულზე უფრო მტანჯველი რამ აქამდე არც არასოდეს არა შეუცნია რა. აი ახლა კი ეჩვენებოდა, რომ ერთადერთი კაცი ჩავარდნოდა გულში: ეს კაცი რამდენიმე წლით უფროსი იყო, ფიზიკას სწავლობდა და სამყაროს სრულებითაც ისე არ აღიქვამდა, როგორაც თვითონ ბრიდა. და მან, ბრიდამ, კიდევ ერთხელ ირწმუნა სიყვარული, გრძნობების ღურღუმ მორევს მისცა თავი, მაგრამ ისე ხშირად და ისე მწარედ გასცრუებოდა იმედი, რომ სარწმუნოდ ახლა უკვე არც არაფერი აღარ მიაჩნდა. არადა ცხოვრებაში ამაზე უფრო დიდი ფსონი ჯერხანად არა ჰქონია.

ყმაწვილქალი მოგვის მზერას გაურბოდა და იქით იყურებოდა, სადაც საკვამურთაგან კვამლი ისვეტებოდა. ადამიანები დასაბამიდან მხოლოდ სიყვარულის წყალობით ცდილობენ ცამყარის შეცნობას.




– თანახმა ვარ, – ჩაილაპარაკა ბოლოს ბრიდამ.

ყმაწვილქალის წინარე მჯდარი კაცი ვერასოდეს ვერ მიხვდება, რა ხდება მეორე ადამიანის სულში. რამეთუ ძალმოსილება კი შეუცნია და გრძნების მეცნიერებასაც ჩასწვდომია, მაგრამ ადამიანების ცნობა ვერ უსწავლია. მერე რა, თუ თმა გვარიანად შესჭაღარავებია, მზემოკიდებული სახე ჩამუქებია და ზნე-ნირი იმ კაცისა უჩანს, ვინც წავარნებსა და ციცაბო მთის ბილიკებზე ბლოტიალს მიჩვეულა.

მიმზიდველი ძალა მოგვს თვალთაგან ეფრქვეოდა, რომელთა შიგან სული არეკვლოდა, ტანჯული ეჭვთაგან და იმ ურიცხვი იმედგაცრუებით, რაც უბრალო სიკვდილისშვილთა გრძნობათაგან სჭირდა. ბრიდა თავად იყო თავისი საქციელით იმედგაცრუებული და გულგატეხილი, მაგრამ ტყუილის თქმა ვერ შეძლო.

– თვალებში შემომხედე, – უბრძანასავით მოგვმა.

ბრიდამ უხერხულობას სძლია და დაემორჩილა.

– რახან მართალი თქვი, გასწავლი.

სულ ერთიანად ჩამობნელდა, უმთვარო ცაზე ვარსკვლავები დაჩნდნენ. ორი საათი არც იყო გასული, რომ ბრიდამ მთელი თავისი ცხოვრება ჩაუწიგნა ამ უცნობს. ცდილობდა, რომ რაიმე ახსნა მოეძებნა მაგიის მიმართ თავისი გულისყურისთვის, – გაეხსენებინა, მაგალითად, ბავშვობის დროინდელი ზმანებანი, რაღაც-რაღაცის წინათგრძნობანი თუ ათასგვარ შინაგან ხმათა გამოძახილი, – მაგრამ ვერაფერს ხელჩასაჭიდს ვერა პოულობდა. უბრალოდ ყოველივე შეუცნობლის შეცნობისა და გაგების წყურვილი კლავდა. ეს იყო და ეს. ამავე სწრაფვამ შეაგულიანა და დააწაფა ასტროლოგიას, ტაროს ბანქოთი მკითხაობას და ნუმეროლოგიას.

– ერთიც, მეორეცა და მესამეც მხოლოდ და მხოლოდ ენებია, – თქვა მოგვმა. – სხვაც კიდევ ბევრია, გრძნება ხომ ყველა იმ ენაზე მეტყველებს, რაც ადამიანის სულს გაეგება.

– მაინც რა არის ეს გრძნება თუ მაგია?

ბრიდამ სიბნელეშიც კი შეამჩნია, რომ მოგვმა თავი შეაბრუნა. მან დაბნეულად გახედა ცას, თითქოს პასუხზე ფიქრობსო.

– მაგია, გინდა გრძნება თქვი, ხიდია, – როგორც იყო, ამოღერღა მოგვმა. – ხიდია, რომლითაც ხილული სამყაროდან უხილავ, უცხადო სამყაროში გადასვლაა შესაძლებელი, რათა როგორც ერთის, ისე მეორის გაკვეთილები შევითვისოთ.

– მაგ ხიდის გადასვლა-გადაკვეთა როგორღა ვისწავლო?

– საკუთარი რამ ხერხი უნდა იპოვო. სუყოველ ადამიანს ის ხერხი თავისი აქვს.

– მეც სწორედ მაგიტომ ვარ აქ მოსული.

– შეცნობის ორი ფორმა ვიცით, – თქვა მოგვმა. – არის მზის ტრადიცია, რომელიც სივრცესთან კავშირშია და იმ ყოვლის საიდუმლოს გვიცხადებს, რაც გარს გვაკრავს. არის აგრეთვე მთვარის ტრადიცია, რომელიც დროს ეკავშირება და იმის საიდუმლოს ხდის ცხადს, რასაც დროის მახსოვრობა შეიცავს.

ბრიდა ჩახვდა ამ სიტყვებს. მზის ტრადიცია, რა თქმა უნდა, ეს ამჟამინდელი ღამეა, ეს გარშემო მოშრიალე ხეები, თვითონ ბრიდას გათოშილი სხეული და ცად დაჩენილი ვარსკვლავები, ხოლო მთვარის ტრადიცია თავად ეს კაცია, წინ რომ უზის, რომლის თვალებშიც მრავალი თაობის სიბრძნე კრთის.

– მე შევიცანი მთვარის ტრადიცია, – განაგრძობდა მოგვი, თითქოსდა ბრიდას გულისნადებს ხმამაღლივ კითხულობდა. – ოღონდ ის არცროდის არავისთვის არ მისწავლებია. მე მზის ტრადიციის მოძღვარი ვარ.

– მაზიარე მაგ მზის ტრადიციას, – არცთუ ანგარიშმიუცემლად სთხოვა ბრიდამ, რადგან მოგვის ხმაში ერთგვარი სინაზის კილო მოეჩვენა.

– სწავლებით, თუ რამ ვიცი, ყველაფერს გასწავლი. ოღონდ გახსოვდეს: მზის ტრადიციის გზები ათასგვარი და მრავალფეროვანია. საჭიროა მხოლოდ, რომ უსიტყვოდ ირწმუნო თითოეული ადამიანის მიერ საკუთარი თავის შესწავლის უნარი.

ბრიდა არ შემცდარა: მოგვის სიტყვებში მართლაც ჟღერდა სინაზე, რაც არათუ ამშვიდებდა, პირიქით, კიდევ უფრო აფორიაქებდა და აგანგაშებდა.

– არა მგონია, რომ გამიჭირდეს მზის ტრადიციის გაგება, – ჩაილაპარაკა ყმაწვილქალმა.

მოგვი ვარსკვლავთა ჭვრეტას შეეშვა და მზერა ყმაწვილქალზე გადაიტანა. მან იცოდა, რომ ბრიდა ცდებოდა: მზის ტრადიციის წვდომის ამანი თუ თავი ჯერეთ არა ჰქონდა, მაგრამ, მაზიარეო, რახან სთხოვს, სხვა გზა არა აქვს, ასწავლის, მოწაფენი ხან თვითონ ირჩევენ თავიანთ მოძღვარს.

– სანამ პირველ გაკვეთილს დავიწყებდეთ, გულში ჩაიჭდიე: ვინც გზას ირჩევს, შიში უნდა უარყოს. იმდენი ვაჟკაცობა და შემართება უნდა ჰქონდეს, რომ მცდარმა და წინდაუხედავმა ნაბიჯმაც არ ჩააქნევინოს ხელი. მარცხი, იმედგაცრუება თუ უიღბლობა იმ იარაღის არსია, რომელი იარაღისა თუ საჭურვლის წყალობითაც ღმერთი გზას გვიწაღმართებს.

– უცნაური რამ იარაღი კია, – მიუგო ნათქვამის პასუხად ბრიდამ. – ძალიან ხშირად მაგ იარაღის ბრალია, რომ ადამიანი გზას აღარ განაგრძობს ხოლმე.

განა შეიძლებოდა, რომ მოგვს არა სცოდნოდა ეს ამბავი? ტანზეც და სულშიც ხომ ღვთის ამ უცნაური საჭურვლის უამრავი ნაკვალევი აჩნდა.

– მაზიარე მზის ტრადიციას, – ჯიუტად გაიმეორა ყმაწვილქალმა.

მოგვმა, კლდის ქიმს მიეყრდნე და მოღუნდიო, სთხოვა ბრიდას.

– თვალები გახელილი გქონდეს, მიმოხედე შენ გარშემო სოფელ-ქვეყანას, რის ჩაწვდომაც შეგიძლია, ჩასწვდი და გაიგე. მზის ტრადიცია ყოველ წამს ყოველი ადამიანის წინაშე თავის მარადიულ სიბრძნეს ავლენს.

ბრიდა დაემორჩილა მოგვის სიტყვებს, თუმცაღა მოეჩვენა, რომ მოძღვარი მეტისმეტად ჩქარობდა.

– ეს პირველი და ყოვლის უფრო საგულისხმო გაკვეთილია, – თქვა მოგვმა. – ერთმა ესპანელმა მისტიკოსმა მოიგონა, რომელმაც რწმენის მნიშვნელობისა და დედააზრის გაგება მოახერხა. ის სახელ-გვარად ხუან დე ლა კრუსი* იყო.

მოგვმა თავდავიწყებამდე სმენადქცეულ ყმაწვილქალს შეავლო თვალი და გულისგულიდან აღმოხდა ლოცვავედრება. გრძნეული კაცი არსთგამრიგეს ენუკვებოდა, რომ რის სწავლებასაც უპირებდა, ყოველივე უკლებლივ აეთვისებინა ამ პირმწყაზარ ასულს. ბოლოს და ბოლოს ეს ასული ხომ ამ გრძნეული კაცის რაღაც სხვა ნაწილი იყო, თუმცაღა კი ჯერხანად მან არცრა იცოდა ამის თაობაზე, თუმცაღა კი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო, ადამიანებითა და ამა სოფლის ათასგვარი მოვლენით დაბრმავებული.

* ხუან დე ლა კრუსი (ხუან დე იეპეს – ი – ალვერეს, 1542-1591) – მღვდელმონაზონი, ესპანელი კათოლიკე მისტიკოსი და პოეტი.

გადმოაენა
**გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

◎ აშკარა, დაუჯერებელი

# რევანში

**ორშაბათ საღამოს თვალებსა და ყურებს არ ვუჯერებდი: სამაუწყებლო, ანუ საკუთარ ხალხზე გამარჯვებული ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო პროგრამა „კურიერმა“ პირ-**



**ველ ნიუსად (მათივე ტერმინია, ხოლო ჩვენ, რიგითი და მოქართულე მოკვდავნი, ახალ ამბავს ვუწოდებთ) ვარდყვავილოვანი ხელისუფლების მიერ არაერთგზის შერისხული და განკულაკებული მერაბ ჟორდანიას კიდევ ერთი აღზევების ამსახველი სიუჟეტი შემოგვთავაზა. დიახ, გასაოცარი სამთავრობო არხზე სამშობლოდან ლამის იძულებით განდევნილი „სხვაგვარად“ მოაზროვნის ასე სრულყოფილად წარმოჩენაა, თორემ, თუ მის წონასა და კავშირებს გავითვალისწინებთ საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში, გასაკვირი არაფერია. ახლა კი თვით ამ საგულისხმო ფაქტის შესახებ.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი პრეზიდენტი ჰოლანდიური „ვიტესის“ (არნემი) აქციათა 100 პროცენტის მფლობელი გახდა. პერსპექტივაში კლუბის ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციასა და რამდენიმე წელიწადში ქვეყნის ჩემპიონობას ვისახავთ მიზნად, წლევანდელი სეზონის პროგრამა-მინიმუმს კი წამყვან ხუთეულში დამკვიდრებაა, — განაცხადა ჩვენმა თანამემამულემ აღნიშნული მოვლენისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.

ახლახან დაწყებული ერედივიზიონის სტარტზე „დენ ჰააგის“ ძლევას — 3:1 ამსტერდამის „აიაქსთან“ მარცხი მოჰყვა — 2:4, დამდეგ შაბათს კი „ვიტესი“ ნიდერლანდების მოქმედ ჩემპიონს ენსხედეს „ტვენტეს“ უმასპინძლებს.

თუ დაგებადებათ კითხვა, საიდან სადაო, მოგახსენებთ, რომ უწინ არნემელთა აქციების 51 პროცენტს ჟორდანიას მილიარდერი მეგობარი რომან აბრამოვიჩი ფლობდა და არაა გამორიცხული, სწორედ მისი მონაწილეობით გაჩარხულიყო დასახელებული პროექტი, თუმცა ეს ვარიანტი თვით ბატონმა მერაბმა უარყო სატელეფონო ჩართვაში. მართლაც, ვინ იცის?

**გია პლატონიშვილი**

**P. S. მაინც, რა არის ცხოვრება, ჰა? გემახსოვრებათ, როგორ დააბლოკინა „ნაცების“ ელიტამ თავისი სატელიტის — უმცროსი ნოდარ ახალკაცის სახით სფფ-ს ალმასკომს მერაბ ჟორდანიას კანდიდატურის წარდგენა უეფას ვიცეპრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად რამდენიმე წლისწინანდელ არჩევნებზე. რას წარმოიდგენდა მაშინ მიშა, რომ მალე ჟორდანიას ნიჭი მისი ცოლის სამშობლოსკენ გაიკვლევდა გზას.**

**გ. პ.**

◎ ჭადრაკი

# ნონამ ახალგაზრდებს აჯობა

ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი უნგრეთში დიორდ მარქსის მემორიალში მონაწილეობდა, სადაც მას მეტოქეობას უწევდნენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები — სომეხი ლილით მკრტიჩიანი, უკრაინელი ტატიანა კონონენკო, მასპინძლები — ილდიკო მადლი, სიდონია ვაიდა და ლილი თოდი. საგულისხმოა, რომ მათგან სამი თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრია. ყოველივეს მიუხედავად, ქართველმა დიდოსტატმა ტურნირზე



ახალგაზრდული შემართებით იბრძოლა და ორწრიან შეჯიბრებაში 10 შესაძლებლიდან 6,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მართალია, ამდენივე ქულა მოაგროვა კონონენკომ, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მას მეორე ადგილი ხვდა. 5,5 ქულით მესამე ადგილი მადლმა დაისაკუთრა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ვაიდა (4,5ქ, მკრტიჩიანი (4,5ქ და თოდი (2ქ.

მემორიალში უძლიერესი დიდოსტატი ვაჟებიც მონაწილეობდნენ. გაუწყებთ შედეგებს: ვიქტორ ლაზნიჩკა (ჩეხეთი, 8 ქულაქ, ფერენც ბერკეში (უნგრეთი, 5,5ქ, ზოლტან ალმაში (უნგრეთი, 5,5ქ, პეტერ აჩა (უნგრეთი, 4ქ, იან ტიმანი (ჰოლანდია, 3,5ქ, რეი რობსონი (აშშ, 3ქ.

**ლაშა ბედია**

# პრიზიორებში ვერ მოხვდნენ

**პოლონურ ხოტოვა-გზარნაში დამთავრდა 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც სამი ქართველი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, მათ პრიზიორებში მოხვედრა ვერ შეძლეს. დიდოსტატმა სოფიკო გურამიშვილმა, ასპარეზობის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე ჯერ კიდევ მედლის მოპოვების შანსს რომ ინარჩუნებდა, საბოლოოდ 8,5 ქულას მოუყარა თავი, რაც წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან 13 შესაძლებლიდან 11 ქულით ჩემპიონობა სლოვენიელმა ანა მუზიჩუკმა მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა რუსი ოლგა გირია. 10 ქულით ბრინჯაოს მედალი ინდოელ როუთ რადმინის ერგო. ნანი უნაფქოშვილი 5,5 ქულით დაკმაყოფილდა.**



ვაჟებში დავით ლომსაძემ მხოლოდ 6 ქულა მოაგროვა. 10-10 ქულით კი „ოქრო-ვერცხლი“, შესაბამისად, რუსებმა — დიმიტრი ანდრეიკინმა და სანან სიუგიროვმა გაინაწილეს. 9 ქულით მესამე ადგილი პოლონელმა დარიუშ სვიერგზმა დაიკავა.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ჩოგბურთი

# ლადო ისევ კორტზეა



**ქართველმა ჩოგბურთელმა ლადო ჩიხლაძემ სამი წლის წინათ მძიმე ტრავმა მიიღო და აღმავლობის გზაზე მდგარმა სპორტსმენმა კარიერის გაგრძელება ვერ შეძლო.** ყოველივეს მიუხედავად, ჩიხლაძე წლეულს მაისში საქართველოს ნაკრებს მაინც შეეშველა „დევისის თასზე“, რომ ზონაში ადგილი შეენარჩუნებინა.

და აი, ლადო ჩიხლაძე კვლავ გამოჩნდა კორტზე, ავსტრიის ქალაქ ზანკტ პიოლტენში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) ძალების გამოცდა მან საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყო. პირველ წრეში გერმანელ ნავიდ იოჰანიგმანს მოუგო — 6:3, 7:5, შემდეგ ამერიკელი ნიკოლას მაისტერსი დაამარცხა — 7:6, 7:6, მთავარ ბადეში გასასვლელი ბოლო ორთაბრძოლა კი ავსტრიელ მაქსი პონგრატელს მოუგო.

**ვაჟა ნოსირელი**

◎ ისტორიიდან

# ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი

**როგორც ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა პიტერ სტრაკმა დაადგინა, სპორტის ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი იყო მებრძოლი მეეტლე გაი აპულეი დიოკლი, ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში რომ ცხოვრობდა ანტიკურ რომში. თავის სპორტულ კარიერაში მან გამოიმუშავა თანხა, დღეს 15 მილიარდ დოლარს რომ უტოლდება. მან მნიშვნელოვნად „დაჯაბნა“ თანამედროვე სპორტში ერთადერთი მილიარდერი — მეგოლფე ტაიგერ ვუდსი, რომელმაც შარშან, 2009 წელს გამოიმუშავა 1 მილიარდი დოლარი.**

გაი აპულეი დიოკლი გამოდიოდა ძველ რომში ყველაზე პოპულარულ სპორტის სახეობაში — საბრძოლო ეტლებით რბოლაში იმდროინდელ მსოფლიოს ყველაზე უდიდეს სტადიონზე — ჰიპოდრომ „ცირკუს მაქსიმუსზე“, ანუ „დიდ ცირკზე“, რომელიც 250 ათას კაცს იტევდა. მისი სიგრძე 621, ხოლო სიგანე 118 მეტრი იყო.

გაი რომში ჩავიდა ახლანდელი პორტუგალიიდან, სპორტული კარიერა დაიწყო 16 წლისამ და დაასრულა 42 წლისამ. ამ დროში მან გამოიმუშავა 35 მილიონ 863 ათას 120 სესტერცია. ეს თანხა ამოკვეთილია გათხრების დროს ნაპოვნ იმ ძეგლზე, რომელიც გულშემატკივრებმა აუგეს ძველ რომაელ მრბოლს. ეს თანხა 2 თვის ხელფასად ეყოფოდა იმდროინდელი რომის მთელ არმიას. ახლა კი ტაიგერ ვუდსს დასჭირდებოდა 15 მილიარდი დოლარი, რათა დაეფინანსებინა თანამედროვე აშშ-ს შეიარაღებული ძალები ანალოგიურ პერიოდში.

როგორც პიტერ სტრაკი შენიშნავს, იმ დროს არ იყო არც რეკლამის, არც მასობრივი ინფორმაციების საშუალებათა გადასახადი.



◎ ინტერნეტიდან

# ვინ გახდება საუკეთესო ფეხბურთელი?!



**ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა — უეფამ — გამოაქვეყნა იმ 12 ფეხბურთელის გვარი, ვინც შეიძლება გახდეს წლის საუკეთესო ფეხბურთელი, რაც ტრადიციულად სეზონის შედეგების მიხედვით ხდება.**

ლაურეატების გამოცხადებისა და მათი დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება 26 აგვისტოს მონაკოში. მაშინვე მოხდება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრაც.

სამ-სამი მოთამაშე დასახელდა საუკეთესო მეკარის, მცველის, ნახევარმცველისა და თავდამსხმელის გამოსავლენად. ამავე დროს ერთ-ერთი მათგანი გამოცხადდება გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად.

აი, როგორია ნომინანტების სია.

**მეკარე**: **ჟულიო სეზარი** („ინტერი“ქ, **უგო ლორისი** („ლიონი“ქ, **ვიქტორ ვალდესი** („ბარსელონაქ.

**მცველი: ლუსიო** („ინტერი“ქ, **მაიკონი** („ინტერი“ქ, **ხერარდ პიკე** („ბარსელონა“ქ.

**ნახევარმცველი: ხავი ერნანდესი** („ბარსელონა“ქ, **არიენ რობენი** („ბავარია“ქ, **უესლი სნაიდერი** („ინტერი“ქ.

**თავდამსხმელი: ლიონელ მესი** („ბარსელონა“ქ, **დიეგო მილიტო** („ინტერი“ქ, **უეინ რუნი** („მანჩესტერ იუნაიტედი“ქ.

ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ იმ 16 გუნდის მწვრთნელებს, ვინც გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში მოხვდა. მათ ხმა უნდა მიეცათ საუკეთესოსთვის თითოეულ ამპლუაში, აგრეთვე ცალკე განესაზღვრათ წლის უძლიერესი მოთამაშე ევროპის საკლუბო ფეხბურთში.

# მკერდს უნდა უმადლოდეს

**ფიგურული მოციგურავე და მომღერალი ანა სემენოვიჩი ცნობილია არა იმდენად თავისი სპორტული და საესტრადო მიღწევებით, რამდენადაც თავისი უზარმაზარი მკერდით, რითაც ის ძალზე ამაყობს, თუმცა პირდაპირ ძილი უჭირს.**

უკრაინულმა პრესამ სცადა სახელის გამოძებნა ანასა და კიდევ ოთხი ლამაზმანის მკერდისთვის.

„ანა სემენოვიჩს უსაზღვრო ბიუსტი აქვს, რაც ჩვენს თვალწინ იზრდება“, შურით აცხადებენ თვითმხილველნი.



ტელეწამყვანის ანფისა ჩეხოვას ბიუსტს მათ უწოდეს ყველაზე ძარღვოვანი, რადგან მასზე დაწოლის დროს ბიუსტჰალტერიდან მხოლოდ ძარღვები ჩანს, მომღერალ ირინა დუმციევას ბიუსტს უწოდეს მკვირცხლი მკერდი, რადგან მუდამ სტოვებდა ქვედა თეთრეულის საზღვრებს, მომღერალ ანა ლორაკს აკურატული მკერდი ჰქონდა. აი, ნატალია პოდოლსკაიას კი აწყენინეს — მის მკერდს უჩინარი შეარქვეს.

## ხსოვნა

სრულიად საქართველომ, აფხაზმა და ქართველმა ხალხებმა უმძიმესი დანაკლისი განიცადეს – 77 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ლორიკ ბესარიონის ძე მარშანია, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ცნობილი ხელმძღვანელი მუშაკი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს აგრარული აკადემიის აკადემიკოსი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის და მთელი რიგი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, რომელმაც მთელი თავისი ღირსეული ცხოვრების შეგნებული ნაწილი მიუძღვნა „...აფხაზებისა და ქართველების, როგორც ისტორიული და ეკონომიური თანაცხოვრებით, საერთო სამშობლოთი, რელიგიით, ტრადიციებით, ზნე-ჩვეულებებით, სისხლ-ნათესაობით ყველაზე ახლობელი ხალხების ურთიერთაგაგებისა და ერთიანობის პრობლემებს“.

ბატონი ლორიკ მარშანია წლების მანძილზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ.გულიას სახელობის კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში პრორექტორად სამეცნიერო დარგში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხელმძღვანელობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტს, ჰქონდა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის უდიდესი გამოცდილება. აფხაზეთისთვის ურთულეს პერიოდში (1992-93 წწ.ძ ის გახლდათ აფხაზეთის მთავრობის პირველი მოადგილე და ამავდროულად ხემძღვანელობდა აფხაზეთის გადარჩენის კომიტეტს. ამავე თანამდებობაზე ბატონი ლორიკ მარშანია მუშაობდა თბილისში 1996 წლამდე. 1996-2002 წლებში მუშაობდა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩის მრჩევლად. 2002-2004 წლებში გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სახალხო დიპლომატიის საკითხებში. 2005 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მრჩევლად.

ბატონი ლორიკ მარშანია გახლდათ ორასზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის მონოგრაფიების, ბროშურების, წერილების ავტორი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ეხებოდა საერთაშორისო ურთიერთობებს აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი პოლიტიკური გზებით მოგვარებას. სწორედ ამ პრობლემებს ეხება მისი წიგნები „აფხაზეთი-მშვიდობისა და აღორძინების გზები“, „აფხაზეთი გუშინ, დღეს, ხვალ“, გამოსაცემად გამზადებული ახალი წიგნი „ჯვარცმული აფხაზეთი“, რომლის ბოლო კორექტურა მან გააკეთა მისთვის საბედისწერო დღეს – წლევანდელ 12 აგვისტოს.

„დაუღალავი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისა და 1980-1995 წლებში გამოქვეყნებული პუბლიცისტური შრომებისთვის, რომელიც ეხებოდა ერთაშორის პრობლემებს, აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთგაგებას, შერიგებასა და ერთობას, მშვიდობას და თანხმობას ყველა ხალხს შორის 1996 წელს ბატონ ლორიკ მარშანიას მიენიჭა აფხაზეთის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პოეტის გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია.

ბატონი ლორიკ მარშანია თავისი სამსახურებრივი, საზოგადებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა ეტაპზე, როგორც ადამიანი, რომელსაც გამახვილებული ჰ ქონდა სამართლიანობის გრძნობა, ყოველთვის ამჟღავნებდა შეუდრეკელ პრინციპულობას და თანამიმდევრულობას პოლიტიკაში, უმაღლეს პროფესიონალიზმს მეცნიერებაში, მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციას და კომპეტენტურობას, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, გამბედაობას და ვაჟკაცობას, როგორც პატიოსნების, სინდისისა და ღირსების ადამიანი, მატარებელი მისი წინაპრებისა და საგვარეულოს ტრადიციებისა.

მისი პოლიტიკური აზროვნების სიღრმე და ურთიერთობების კულტურა გამოწრთობილი იყო მის მიერ განვლილი ცხოვრების ურთულესი გზით.

ბატონი ლორიკ მარშანია მიეკუთვნებოდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების იმ პოლიტიკური ხელმძღვანელების მცირე გამონაკლისთა რიცხვს, რომლებმაც ღიად გაილაშქრეს და გაბედულად დაუპირისპირდნენ სეპარატისტულ გამოვლინებებს აფხაზეთში.

ბატონმა ლორიკ მარშანიამ ჯერ კიდევ 30 წლის წინათ იწინასწარმეტყველა სეპარატიზმის შედეგად მოსალოდნელი ტრაგიკული შედეგები, რაც ჩვენდა საუბედუროდ, კიდეც გამართლდა. რთულ ვითარებაში ბატონ ლორიკ მარშანიას არაერთხელ გამოუვლენია თავგანწირვა თავისი ხალხის გადარჩენისა და ქართველ ხალხთან მჭიდრო კავშირების შესანარჩუნებლად. საზოგადოებას კარგად ახსოვს ბატონ ლორიკ მარშანიას ბრწყინვალე გამოსვლები სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო ფორუმებზე მოსკოვში, ნიუ-იორკში, ვენაში, ჰააგაში, პარიზში, ჟენევაში, სანკტ-პეტერბურგში, თბილისში, ნატო-ს ეთერში და ა.შ. სწორედ საკუთარი ხალხისა და მშობლიური კუთხის მომავლის წინაშე მდგარი რეალური საშიშროებით შეშფოთებულმა მიმართა მან 1992 წლის 7 სექტემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აფხაზური ფრაქციის დეპუტატებს, აფხაზ ხალხს და პირადად ვლადისლავ არძინბას – ხმა აღემაღლებინათ თანხმობისა და მშვიდობის დასაცავად, რათა თავი აერიდებინათ მოსალოდნელი კატასტროფისთვის. ბატონ ლორიკ მარშანიას ცხოვრებისეული კრედო ნათლად ჩანს მის სიტყვებში „ჩვენ ღმერთმა და ბედმა განგვიწესა, რომ ერთად ვიცხოვროთ ერთი ცის ქვეშ, მშვიდობიანად, მეგობრულად, ნათესაური სიყვარულით“.



# ლორიკ მარშანია

ბატონი ლორიკ მარშანია გახლდათ ადამიანური ურთიერთობების ის ხუროთმოძღვარი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება, დაწყებული პირადი ოჯახური მაგალითიდან, რუდუნებით ქმნიდა, აპროვებდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების უნიკალურ მაგალითებს, რომლებსაც ეფუძნებოდა ქართველებისა და აფხაზების საუკუნოვანი ისტორიული, ნათესაური და მეგობრული თანაარსებობა. ამ თვალსაზრისით იგი წარმოადგენდა აფხაზი ხალხის უდიდეს წარმომადგენელს გიორგი შარვაშიძის საქმის ღირსეულ გამგრძელებელს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცების და ერთობის საქმეს.

ბატონი ლორიკ მარშანია სიცოცხლის ბოლო წუთამდე დარჩა თავისი პრინციპების ერთგული. ის ბოლომდე ემსახურა შერიგებისა და ორი მონათესავე ხალხის – აფხაზებისა და ქართველების ერთობის იდეალებს. ის იყო შეურიგებელ ოპოზიციაში ნებისმიერი სახის პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, უდიდესი შრომისუნარიანობით, ობიექტურობით და პრინციპულობით. პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და ხელმძღვანელი მუშაკის ეს თვისებები მასში ჰარმონიულად იყო შერწყმული მაღალი ზნეობის აფხაზი ხალხის საუკეთესო თვისებებთან, ტრადიციასა და ადათ-წესებთან, უდიდეს შინაგან პასუხისმგებლობასთან, რაც განსაკუთრებულ ხიბლს, დამაჯერებლობას და ნდობას მატებდა მასთან ურთიერთობას და იწვევდა უღრმეს პატივისცემის გრძნობას.

„სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ერთა ერთობის, ურთიერთგაგებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საქმეში შეტანილი წვლილისთვის ბატონი ლორიკ მარშანია დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. ის აქტიურად უჭერდა მხარს სამოქალაქო (სახალხო) დიპლომატიის განვითარებას, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის „მშვიდობა და აფხაზეთის აღორძინებას“ კოორდინატორი აქტიურად მონაწილეობდა ჟენევაში მიმდინარე შეხვედრებში აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით.

ბატონ ლორიკ მარშანიას თავისი პოლიტიკური მრწამსით და პოზიციით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, კონფლიქტის დარეგულირების მისეული ხედვით განსაკუთრებული ადგილი ეკავა აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების სახელმწიფო სტრატეგიაში, რადგან ის იყო უშუალო თვითმხილველი და ობიექტური შემფასებელი იმ პოლიტიკური პროცესებისა, რომლებიც წინ უსწრებდა საომარი მოქმედების ინსპირირებას აფხაზეთში. „სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისას, მე ყოველთვის ვგრძნობდი იმ ხალხის გულისცემას, რომელსაც ვეკუთვნი, როგორც აფხაზეთის უძველესი საგვარეულოს წარმომადგენელი“, – წერდა ბატონი ლორიკი. „ბოლოსდაბოლოს დროა ყველამ გავაანალიზოთ და გავიგოთ, თუ რა დაგვემართა, როგორ მოხდა, რომ ჩვენ, გუშინდელი ნათესავები (მოსახლეობის 40 პროცენტი ხომ შერეული აფხაზურ-ქართული ოჯახებიდან), მეგობრები, მეზობლები, კლასელები, კურსელები, თანამშრომლები, 2000 წელი ერთად მცხოვრებნი, ერთ მიწაზე, ერთი ცის ქვეშ, ნათესაურ სიყვარულსა და მეგობრობაში ერთ წამში გადავიქეცით მტრებად და ერთმანეთის სასიკვდილოდ მივუშვირეთ იარაღი, რომელიც ხელში ჩაგვიდო მუხანათურმა მესამე ძალამ“. ბატონი ლორიკ მარშანიას ეს ბრძნული მოწოდება ერთდროულად ყურადსაღები გაფრთხილებაცაა მომავალი თაობებისთვის, რათა არ დაუშვან მსგავსი ფატალური შეცდომები, არ დაუშვან ტრაგედიის განმეორება“. ბატონი ლორიკ მარშანიას სახით აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მთავარმა შტაბმა დაკარგა თავისი ხალხისა და სამშობლოს მომავალზე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ჩატეხილი ხიდის აღდგენისათვის აქტიურად მებრძოლი და გულწრფელად მოფიქრალი, უდიდესი გამოცდილებისა და ფასდაუდებელი სარგებლობის მომტანი, ჭეშმარიტი რაინდი, აფხაზეთის ტრაგედიის ჭირისუფალთ გამოაკლდათ კიდევ ერთი საყრდენი ბურჯი, საკუთარ კარ-მიდამოში დაბრუნების აუხდენელი ოცნებით გულდაფერფლილი აფხაზი ხალხის რჩეული შვილი, რომელსაც თან გაჰყვა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მიუგვარებელი ტრაგედიის სიმძიმე. ოჯახმა დაკარგა წინამძღოლი – შვილებმა ღირსეული მამა, შვილიშვილებმა – სათაყვანებელი ბაბუა, მარშანიების საგვარეულომ – თვალსაჩინო წარმომადგენელი, ახლო სანათესაომ, სამეგობრომ და კოლეგებმა – ერთგული, საიმედო და სანდო პიროვნება, აფხაზეთის დევნილმა საზოგადოებამ – მათს პრობლემებზე მოფიქრალი და აქტიური მებრძოლი თანამემამულე.

ძნელია დღეს სრულყოფილად, ბოლომდე შეაფასო ბატონი ლორიკ მარშანიას მოღვაწეობის მნიშვნელობა კონფლიქტის მოწესრიგებაში, მისი პოლიტიკური ნაბიჯების სიღრმე და შორსმჭვრეტელობა, ის უდიდესი მოქალაქეობრივი პოზიცია და ადამიანური თავგანწირვა, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, როგორც თვითონ ბატონი ლორიკი წერდა: „დარწმუნებული ვარ, ღვთის ნება და ხალხის სამსჯავრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, ყველა მიიღებს თავისას – სამშობლოს ბედისადმი ჩვენი პასუხისმგებლობის, თუ ჩვენი დანაშაულებრივი ქმედებების მიხედვით, რამაც აფხაზეთი და მისი ხალხი ტრაგედიამდე მიიყვანა.“

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

*სახელმწიფო დამკრძალავი კომისიის წევრები:*

**ნიკა გილაური, გიორგი ბარამია, ელგუჯა გვაზავა, თემურ იაკობაშვილი, კობა სუბელიანი, დავით ალავიძე, სვეტლანა ქეძბა, გიორგი ანჩაბაძე, ზურაბ ერქვანია, გივი ანჩაბაძე, ზურაბ ჩიქოვანი , ოთარ ჟორდანია.**

---

ნოდარ ემუხვარი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, ქართველ-აფხაზთა ძმობის ბურჯი

ლორიკ მარშანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მოძრაობა „სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივა“ იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი, აფხაზი და ქართველი ხალხების გამორჩეული შვილი, სახელგანთქმული პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობის აღდგენის დიდი ქომაგი, აკადემიკოსი



ლორიკ ბესარიონის ძე მარშანია

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს.

*მოძრაობა „სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივის“ სახელით*

მურად ანჯაფარიძე,
ალუ გამახარია,
ზურაბ ერქვანია.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ლორიკ მარშანიას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრთა აპარატი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლორიკ მარშანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ყოფილი პრორექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

ლორიკ მარშანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება ქართველი ხალხის დიდი პატრიოტის, შესანიშნავი პიროვნების, ცნობილი ხელმძღვანელი მუშაკისა და მეცნიერის

ლორიკ ბესარიონის ძე მარშანიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

---

მეუღლე იზა ოქრომჭედლიძე, შვილები მაია, ირმა, და ჯულიეტა, ძმა რეზო, ძმისწული ეკა ქუთათელაძეები, შვილიშვილები სანდრო, ნიკა, არჩილი, სიძე გოგი ნიკოლაიშვილები, რძლები ციცინო ბარამაძე, თამარ აბაშიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არჩილ ქუთათელაძე

პანაშვიდი 17, 18 VIII, 17 სთ. გამოსვენება 19 VII, 14 სთ. პეკინის 31 ბ. ბინ. 25.

---

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ და შპს „პოლიგრაფ თბილისის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ქეთო რაზმაძის

მეუღლის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

---

შვილები გიორგი და გოჩა ლორიები, რძლები მაია და ნონა ლორიები, შვილიშვილები ლაშა, ლელა, ლევანი, ლანა, ლონდა, და აზა მშვიდობაძე ოჯახით, ძმა ბახო მშვიდობაძე ოჯახით, დისწულები მაია და მანანა მოსიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაყვალა მელენტის ასული მშვიდობაძე-ლორია

პანაშვიდი 17, 18 VIII, 17 სთ. დარკძალვა 19 VIII, 14 სთ. მის. რუსთავი, ჭონქაძის ქ. 13.

---

ლევან მიროტაძე უთანაგრძნობს ნონა და გოჩა ლორიებს დედის, უსათნოესი ადამიანის

მაყვალა მშვიდობაძე-ლორიას

გარდაცვალების გამო.

⊙ დაიჯესტი

# გამოუცნობი ობიექტები თუ „მფრინავი დათვები?“

**არცთუ დიდი ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი დარწმუნებული იყო გამოუცნობ მფრინავ ობიექტთა (გმოძ არსებობაში და დიდი შიშიც ჰქონდა მათი. მან სამხედრო უწყებას მითითებაც კი მისცა მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავის ერთ-ერთ ასეთ ობიექტთან მიახლოების ფაქტის 50 წლით გასაიდუმლოების თაობაზე საზოგადოებაში მასობრივი პანიკის თავიდან ასაცილებლად, რასაც დიდი ბრიტანეთის ეროვნული არქივის ცოტა ხნის წინათ გასაიდუმლოებული მასალები მოწმობენ.**



მთლიანად გასაიდუმლოებულია 18 საქმე, რომელიც ხუთი ათასზე მეტ მოხსენების გვერდს, წერილსა და ნახატს, ასევე პარლამენტის სხდომათა სტენოგრამას მოიცავს.

აუხსნელი საჰაერო ინციდენტის შესახებ მოხსენებისა და მასზე იმდროინდელი პრემიერის რეაქციის თაობაზე წერილი ქალაქ ლესტერის ანონიმმა მცხოვრებმა მოიწერა, რომელიც ირწმუნება, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს პაპამისი ჩერჩილის ერთ-ერთი პირადი მცველი იყო და იმავდროულად ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობდა. ეს კაცი ამერიკელ გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერთან შეხვედრას ესწრებოდა, როცა, მისი თქმით, **„ჩერჩილმა ამ ანგარიშის დაუყოვნებლივ გასაიდუმლოება მოითხოვა,** რადგან ამ ამბავს მოსახლეობაში პანიკის დათესვა და ეკლესიის რწმენის მოშლის გამოწვევა შეუძლია“. სავარაუდოდ, საუბარი ერთ-ერთ მზვერავ თვითმფრინავთან მომხდარ ინციდენტს ეხებოდა, რომელიც ომის მიწურულს საფრანგეთისა თუ გერმანიის ცაში დავალების შესრულების შემდეგ ბაზაზე დაბრუნებისას გამოუცნობ მფრინავ ობიექტს გადაეყარა.



მოხელეებმა სცადეს ჩერჩილისა და ეიზენჰაუერის საუბრის შესახებ ამ ცნობის უტყუარობის დადგენა, მაგრამ ამის თაობაზე რაიმე ჩანაწერს ვერ მიაგნეს. მცველის შვილიშვილმა ამ ამბის გამოძიება ჯერ კიდევ 1999 წელს სცადა. საპასუხო წერილში მას სამხედრო უწყების წარმომადგენელმა მაშინ აუწყა, რომ: **„როგორც წესი, 1967 წლამდე, გმო-ებთან დაკავშირებული ყველა საქმე ხუთი წლის შენახვის შემდეგ ნადგურდებოდა იმის გამო, რომ ამ საკითხისადმი საზოგადოებრიობის ინტერესი იმდენად დიდი არ იყო, რომ მათი მუდმივად შენახვა გამართლებული ყოფილიყო. ამდენად, გმო-ებთან დაკავშირებული მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ყველა მასალა, სავარაუდოდ, გაანადგურეს“.**

ამასთან, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გმო-ების მიმართ ინტერესს ჩერჩილი ჯერ კიდევ 1912 წლიდან მოყოლებული იჩენდა. თანაც, სწორედ ის იყო პირველი კაცი, ვინც, როგორც საადმირალოს პირველი ლორდი (სამხედრო-საზღვაო მინისტრიძ, ბრიტანეთის პარლამენტში ამ თემასთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხობდა, როცა საქმე უცნაურ მოვლენას ეხებოდა, რომელიც ინგლისის საგრაფო კენტის ნავსადგურ შირნესთან მოხდა.

გმო-ების პრობლემებისადმი დამოკიდებულება დიდ ბრიტანეთში იმ დროს იმდენად სერიოზული იყო, რომ ომის შემდგომ პერიოდშიც, დაზვერვის ხელმძღვანელობა ცალკე სხდომებს ატარებდა, რომლებზეც აღნიშნული საკითხი განიხილებოდა. მინისტრები ყოველკვირეულად უკვეთავდნენ სახელმწიფო უშიშროების საკითხებში კომიტეტის ექსპერტებს მონაცემებს გმო-ების გამოჩენის თაობაზე. სადაზვერვო სამსახურთა გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც მთავრობისთვის უშიშროების, თავდაცვისა და საერთაშორისო საკითხებისადმი მიძღვნილ ბრიფინგებს ატარებს, იმ წლებში გმო-ებთან დაკავშირებით კვირაში, სულ მცირე, ერთ შეტყობინებას მაინც იღებდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გმო-ებთან დაკავშირებული ცნობების სრულიად ამოუხსნელი აქტივობის პიკი 1996 წელს იყო, როცა დიდ ბრიტანეთში დიდად პოპულარული იყო სატელევიზიო სერიალი „საიდუმლო მასალები: X-fills საგულისხმო დამთხვევაა!

გახურებული ცივი ომის დროს, გამოუცნობი მფრინავი ობიექტების ხელში ჩასაგდენად დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები, განგაშით, წელიწადში დაახლოებით 200-ჯერ აფრინდებოდნენ ხოლმე. მაგრამ, უმრავლესობა შემთხვევაში ესენი იყვნენ საბჭოთა სტრატეგიული ბომბდამშენები ТУ-160, რომლებიც ბრიტანეთის საჰაერო სივრცეში იჭრებოდნენ.

საბჭოთა სტრატეგიული ბომბდამშენის, ე.წ. „მფრინავი დათვის“ ბრიტანეთის საჰაერო სივრცეში შეჭრის ბოლო დაფიქსირება 1991 წელს მოხდა. მას შემდეგ ბრიტანელი მფრინავები გაფრენილან ტერორისტების მიერ ხელში ჩაგდებული თვითმფრინავების საბადრაგოდ, კონტრაბანდისტების თვალის სადევნებლად, ასევე რუსეთული ავიამზიდებიდან აფრენილი ავიაგამადგურებლების ხელში ჩასაგდებად. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე გმო-ებთან დაკავშირებით არც ერთი ინცინდენტი არ მომხდარა, – ასე უპასუხეს ბრიტანეთის სამხედრო უწყებაში სადეპუტატო შეკითხვას.

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| **თბილისი.** | **+23 – +35** |
| **ქუთაისი.** | **+23 – +37** |
| **ბათუმი.** | **+23 – +30** |
| **ზუგდიდი.** | **+22 – +34** |
| **თელავი.** | **+20 – +32** |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**99-62-77; 899 32-85-76.**

## შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მარკლაინი საბალანსო ანგარიშგება

01.01.2010

(ლარებშიძ

| | |
|---|---|
| მიმდინარე აქტივები: | |
| ნაღდი ფული სალაროში | 99 |
| ფული საბანკო ანგარიშზე | 40352 |
| აქციონერზე გადახდილი ავანსი | |
| დარიცხული მისაღები პროცენტები | 14442 |
| გაცემული სესხები | 389030 |
| სულ მიმდინარე აქტივები | 443923 |
| გრძელვადიანი აქტივები: | |
| ოფისის აღჭურვილობა | 6988 |
| არამატერიალური აქტივები | 2146 |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | 9134 |
| სულ აქტივები | 453057 |
| ვალდებულებები და კაპიტალი | |
| მიმდინარე ვალდებულებები: | |
| ნასესხები ფულადი სახსრები | 143279 |
| დარიცხული გადასახდელი პროცენტები | 13589 |
| ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 3024 |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | 4731 |
| მიღებული ავანსები | 16352 |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები | 180975 |
| კაპიტალი: | |
| საწესდებო კაპიტალი | 250000 |
| სარეზერვო კაპიტალი | 5839 |
| ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი | |
| გაუნაწილებელი მოგება | 16243 |
| სულ კაპიტალი | 272082 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | 453057 |

გენერალური დირექტორი ხ. გვაზავა
მთავარი ბუღალტერი დ. ლომიძე

## შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მარკლაინი მოგება-ზარალის ანგარიშგება

2009 წელი

(ლარებშიძ

| | |
|---|---|
| საოპერაციო შემოსავალი | 79489 |
| მთლიანი შემოსავალი | 79489 |
| ამორტიზაციის ხარჯები | -2126 |
| საერთო ადმინისტრაციული ხარჯები | -55107 |
| დარიცხული პროცენტული ხარჯები | -13737 |
| მთლიანი საოპერაციო ხარჯები | -70970 |
| მთლიანი საოპერაციო მოგება | 8519 |
| არასაოპერაციო შემოსავალი | 22602 |
| არასაოპერაციო ხარჯები | -10071 |
| მთლიანი საოპერაციო მოგება | 12531 |
| მოგება დაბეგვრამდე | 21050 |
| მოგების გადასახადი | 4807 |
| წმინდა ფინანსური მოგება | 16243 |

გენერალური დირექტორი ხ. გვაზავა
მთავარი ბუღალტერი დ. ლომიძე

⊙ კადრი



⊙ ანეკდოტები

– ალო, საყვარელო, ჩემო ვეფხვო, სადა ხარ? უშენოდ არ შემიძლია...

– უჩემოდ არც არის საჭირო...

* * *

ზაფხული ის კი არ არის, როდესაც ცხელა, არამედ ის, როდესაც ფული გაქვს.

* * *

განცხადება: „ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სექსზე კონსერვატული შეხედულებები აქვს, გაიცნობს ასეთსავე მამაკაცს. ისე კი უმჯობესია, თუ ორს ან სამს ერთბაშად“.



* * *

ცოლი ქმარს ეფერება:

– ძვირფასო, მითხარი, ლამაზი თმები მაქვს?

– კი.

– თვალებიც ლამაზი მაქვს?

– თვალებიც.

– თმები?

– თმებ...

აქ ქმარი შეყოვნდა და ეჭვნეულად შეეკითხა:

– შენა, ქალო, სარკეში არ იხედები თუ შენს გამოსახულებას ვერა ხედავ?

* * *

იღბალი ქალივითაა. თუ დევნას არ დაუწყებ, ეწყინება და თვითონ მოვა შენთან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.